8326

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

კვირა
2 ნოემბერი
1941 წ.
№ 260 (6265)
ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის ლოზუნგები

ახლოვდება სახელოვანი ისტორიული თარიღი—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავი. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ლოზუნგები ოქტომბრის XXIV წლისთავისათვის. ეს საბრძოლო ლოზუნგები გამოხატავენ მთელი საბჭოთა […]

ჰიტლერელ მძარცველ დამპყრობლებს, რომელთაც ომი გააჩაღეს აღმოსავლეთში, იმის იმედი ჰქონდათ, რომ სწრაფი დარტყმით მოუღებდნენ ბოლოს მძლავრ საბჭოთა ხალხს, ნაწილობრივ მოსპობდნენ, ნაწილობრივ მონებად გადააქცევდნენ და ნელს, წამებით სიკვდილს განუმზადებდნენ მას. ეს არ მოხდა და არც როდისმე […]

მოტყუებული, გატილიანებული, ქანცგაწყვეტილი გერმანელი ჯარისკაცები სულ უფროდაუფრო ხშირად კითხულობენ: მერე რაღა იქნება?

ომის მეხუთე თვეზე მტერი უკვე სისხლით იცლება. საბჭოთა კავშირთან ომში განაცადი მძიმე ზარალის, ომის უპერსპექტივობის, მომავალი მესამე მშიერი ზამთრის […]

[…]

ბის გააფთრებულ, განუწყვეტელ შემოტევას. სამშობლოს სახელოვან დამცველებთან ერთად გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი. მან იცის, რომ ახლა, ამ ომში, საშუალო რამ შეუძლებელია: ან გამარჯვება, ან სიკვდილი. მესამე გამოსავალი არ არსებობს.

მტერი სასტიკი და ულმობელია. მთელი მსოფლიოს წინაშე საბოლოოდ გამოაშკარავებულია ვერაგობა და უნამუსობა ჰიტლერელი იმპერიალისტი ყაჩაღებისა, რომელთაც დაარღვიეს მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის და ომის ქარცეცხლში ჩააგდეს მილიონობით ხალხი. სისხლისმსმელი ხოცვა-ჟლეტის დამწყები გამოაშკარავებულია და სამარცხვინო ბოძზეა გაკრული.

„ძირს ჰიტლერელი იმპერიალისტი ყაჩაღები, რომლებმაც დაარღვიეს მშვიდობა მსოფლიოს ხალხთა შორის და ომის უფსკრულში ჩააგდეს გერმანია, ევროპა, სსრ კავშირი!“

[…] ანტიჰიტლერული ფრონტი.

„გაუმარჯოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც დახმარებას უწევენ დიდ ბრიტანეთს, საბჭოთა კავშირსა და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხებს მათს სამართლიან ომში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ!“

იმის შეგნება, რომ ჩვენი შინაგანი ძალები განუწყვეტლივ იზრდება და გაიზრდება, რომ საბჭოთა კავშირს ინგლისისა და ამერიკის ხალხები დახმარებას უწევენ და უფროდაუფრო მეტად გაუწევენ ჰიტლერელთა წინააღმდეგ მძიმე ომში, საბჭოთა ხალხს ურყევ იმედს უნერგავს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა ჰიტლერის ყაჩაღური ბანდები განადგურებულ იქნებიან.

საბჭოთა კავშირზე ავანტიურისტული თავდასხმა ჰიტლერელებს უკვე მილიონობით ადამიანის სიცოცხლედ, მრავალ ათას ტანკად, თვითმფრინავად, ქვემეხად დაუჯდათ, ხოლო ომის დასასრული, რასაც ჰიტლერი შეჰპირდა გერმანელ ჯარისკაცს, არა სჩანს.

[…] ნაღმი, ტყვიამფრქვევი, შაშხანა! ყველაფერი ფრონტისათვის!“

„კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო! გერმანელ არამზადებს სწადიათ ხელთ იგდონ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი პური, სურთ აღადგინონ მემამულეთა ძალაუფლება, გადაგვაქციონ გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად. მიეცით ფრონტს რაც შეიძლება მეტი სურსათი! მთელი ძალღონე მოახმარეთ ფრონტისათვის ხელშეწყობას, მტრის განადგურებას! ყველაფერი ფრონტისათვის!“

მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა თავისი სამშობლოს, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად. მას მიუძღვება მისი დიდი სტალინი. მას მიუძღვება გამარჯვებისაკენ ლენინ-სტალინის გმირული პარტია!

„გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას,—გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის ორგანიზატორს!“

„პრავდის“ მოწინავე, 1/XI

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 ნოემბრის დილის ცნობა

31 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლას მტერთან მთელ ფრონტზე.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე კომისარ ამხ. ნემიროვის საარტილერიო ქვეგანაყოფმა მტრის იერიში მოიგერია და გერმანელთა 59 ტანკი, 2 თვითმფრინავი და 600-მდე მეავტომატე მოსპო.

* * *

28 ოქტომბერს ამხ. […] ნაწილმა, რომელიც […] სკის მიმართულებით […] მოწინააღმდეგის […] ბული იერიში მოიგერია […] ერთი იერიშის დროს […] ლეიტენანტმა ამხ. […] 250-300 მეტრზე მო[…]ზე წამოსული ფა[…] ტყვიამფრქვევის გ[…]

[…] ცეცხლი დაუშინა, ამასთან 50-მდე ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო.

* * *

გაბედულად ესხმიან თავს მტერს კამენეც-პოდოლსკის ოლქის პარტიზანები. 10 ოქტომბერს ქალაქ დ-ს რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმის მეთაურმა შეიტყო, რომ მანქანა-ტრაქტორთა […]

[…] თი გადაასხეს და გადასწვეს მანქანები. ნახევარი საათის შემდეგ მანქანებისა და მოტოციკლების ჩონჩხი-ღა დარჩა. პარტიზანულმა რაზმმა, რომლის მეთაურია ამხ. დ., ქალაქ კ-ს მახლობლად გაანადგურა სურსათის დიდი საწყობი. ატეხილი სროლის დროს საწყობის მცველ ჯარისკაცთა დასახმარებლად ქალაქიდან მოტოციკლებით მოვიდა 15 გერმანელი […]

[…] ხო აღშფოთება ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ. ოქტომბრის შუა რიცხვებში ნორვეგიელმა პატრიოტებმა მრავალი დიდი დივერსია მოახდინეს ქიმიურ ქარხნებში, რომლებიც გერმანიის არმიის დაკვეთებს ასრულებენ.

ქალაქ არენდალის, ლილესტრომის და მიუტოდენის ქარხნებში ბევრგან ხანძარი და აფეთქება მოხდა. ქალაქ არენდალში ძლიე[…]

[…]

[…] ბრძანება, რაც განკუთვნილია მხოლოდ ოფიცრებისათვის. გენერალი აღნიშნავს, რომ მის დივიზიას დიდი ზარალი მოუვიდა. იგი მწუხარებით სწერს, რომ „შევსება, რომელიც მას მოსდის, ყოფაქცევისა და დისციპლინის მხრივ ძალიან ჩამორჩება ძველ ჯარის[…]

გმირულად მოქმედებენ საბჭოთა პარტიზანები გერმანელ ფაშისტთა ურდოების მიერ ოკუპირებულ ქალაქებში. ქალაქ ნიკოლაევის გარეუბნებში ყოველ დილას ნახულობენ მოკლულ გერმანელ და რუმინელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ოქტომ[…]

[…] ლებს მაშველი ძალები მოუვიდოდათ, რომლებსაც პარტიზანებმა ავტომატები დაუშინეს.

საბჭოთა პატრიოტები გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიან გერმანელთა ცდას მოაწყონ ცალკეულ ქალაქებში არმიისათვის საჭირო სხვადასხვა საჭურვ[…]

[…] ნე-ტყის სახერხ ქარხანას, რომელიც გერმანიის სარდლობის შეკვეთას ასრულებს. 14 ოქტომბერს აღმოსავლეთ სლოვაკიაში ერთ ღამეს ლიანდაგიდან გადავიდნენ 3 სამხედრო მატარებელი, რომლებიც აღმოსავლეთის ფრონტისაკენ მიდიოდნენ.

1 ნოემბრის საღამოს ცნობა

[…]

უკანასკნელი ცნობები სამამულო ომის ფრონტებიდან

ბრძოლა დასავლეთის ფრონტზე

დასავლეთის ფრონტი, 31 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გასული დღე-ღამის განმავლობაში შეტაკებები ხდებოდა ჩვენი ფრონტის მარჯვენა და მარცხენა უბნებზე. გუშინ და დღეს მეთაურ როკოსოვსკის არტილერისტებმა სროლა აუტეხეს მტრის თავმოყრილ ქვეითს ჯარს და დიდი ზარალი მიაყენეს მას. მეთაურ ეფრემოვის […]

მეთაურ ზახარკინის ჯარები კონტრიერიშზე გადავიდნენ და მთელი დღის განმავლობაში იბრძოდნენ მნიშვნელოვანი პუნქტების ხელში ჩასაგდებად.

დღის დამლევისათვის ერთ-ერთი ჯარის ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს სოფელი ვ. და შიგ გამაგრდნენ.

გერმანელები, უეჭველია, უახლოეს დღეებში ახალ გააფთრე[…]

[…] ფრონტის ამ უბანზე ჩვენმა ჯარის ნაწილებმა გაანადგურეს მტრის მცირე ჯგუფები, რომლებმაც ჯერ კიდევ წინა დღით შემოატანეს მდინარე ნარის აღმოსავლეთ ნაპირზე.

[…] პოლიტმუშაკებმა, რომელნიც მედგრად და შეუპოვრად იცავენ მოსკოვის მისადგომებს, ფიცი დასდეს თავიანთი ამხანაგების საფლავზე—არ შემოუშვან მტერი.

ი. ზრიბოვი

ბრძოლა ყირიმის მისასვლელებთან

მოქმედი არმია, 31 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). უკანასკნელ დღეებში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა გააძლიერეს მოძალება ყირიმის ფრონტზე. ჩვენი ჯარის ნაწილები ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევენ და დიდ ზარალს აყენებენ მტერს. საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილმა ოსიპოვის მეთაურობით მოიგერია მტრის დამკვრელი ჯგუფის იერიში, რომელიც ცდილობდა ღრმად შემოჭრილიყო თავდაცვის ხაზში.

ოსიპოვის ნაწილს განუწყვეტლივ დასტრიალებდნენ მოწინააღმდეგის თვითმფრინავები, რომელნიც ცეცხლქვეშ ამყოფებდნენ მამაც წითელფლოტელებს და ამავე დროს აწესრიგებდნენ თავიანთი საარტილერიო და ნაღმმტყორცნ ბატარეების ცეცხლს. შეუპოვარი ბრძოლა 11 საათს გრძელდებოდა. ოსიპოვის ნაწილმა მტერს წაართვა ორი მაღლობი და 3 სოფელი, ხელთ იგდო მრავალი ტყვე და დავლა, მოსპო მტრის ორ ბატალიონამდე ცოცხალი ძალა.

თავდაცვის ხაზის გასარღვევად მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა ტანკებს, თვითმფრინავებს და ახალი დივიზია გადმოიყვანა. მამაცი საბჭოთა მეომრები დაუზოგავად ანადგურებენ მტერს და მამაცურად იცავენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს.

ტორპედიანი კატარღების საბრძოლო საქმეები

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტი, 31 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ბალტიკაში მოქმედმა […]

ჩვენს კატარღებს ხშირად იერიში მიაქვთ მტრის ბევრად უფრო ჭარბ ძალებზე. მაგალითად, 6 კატარღამ იერიში მიიტანა მტრის […]

№ 21 ქარხნის და მურმანსკის ფანერის ქარხნის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

საბრძოლო თვითმფრინავების გამოშვების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 31 ოქტომბრის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ორჯონიკიძის სახელობის № 21 ქარხნის და მურმანსკის ფანერის ქარხნის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია: № 21 ქარხნის საამქროს ყოფილი უფროსი, საკ. კ. პ. (ბ) პარტორგი ა. ვ. აგურიევი, № 21 ქარხნის დირექტორი ა. ფ. გოსტინცევი და მთავარი კონსტრუქტორი ს. ა. ლავოჩკინი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 12 კაცი, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 19 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით—39 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“—35 კაცი, მედლით—„შრომითი წარჩინებისათვის“—21 კაცი.

(საკდესი).

რწმუნებულობის სიგელების გადაცემა საბერძნეთის სსრ კავშირშინა დესპანის ბ-ნ პიპინელისის მიერ

ა. წ. 31 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. […]

[…] დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი პიპინელისი, რომელმაც მას თავისი რწმუნებულობის […]

შირაქის ნავთის სარეწაოებზე

წითელწყარო („კომუნისტის“ კორ.). შირაქის ნავთის სარეწაოების მუშაკები წარმატებით ასრულებენ წინაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მთელ რიგ ტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით მირზაანის სარეწაოზე (გამგე ამხ. სილაგაძე) ნავთის ამოღებას დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს და საწვავი მასალის დიდ ეკონომიას აღწევს.

წინაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის თავგამოდებით იბრძვიან სარეწაოს მუშაკები ამხ. ვ. მაკაგონოვი, ფ. ბრაენიკოვი, ა. ხრიპუნოვი და სხვ. რომლებიც გეგმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში არც ჭაბურღილის ოსტატები ჩამორჩებიან. № 186 ჭაბურღილი, რომელსაც ბურღვის ოსტატი მედალოსანი ამხ. ფ. ლისნოვი ხელმძღვანელობს, საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა 5 დღით ადრე. საექსპლოატაციოდ 9 დღით ადრე გადასცა № 187 ჭაბურღი[…]

უკანასკნელი ცნობები

თურქი ჟურნალისტი გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში არსებული შიმშილობის შესახებ

ანკარა, 1 ნოემბერი (საკდესი). ჟურნალ „ენი გიუნში“ მოთავსებულია ჟურნალისტ ატაის წერილი გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში არსებული მძიმე სასურსათო მდგომარეობის შესახებ. იგი სწერს: „ამასწინათ საბერძნეთიდან დაბრუნდა ერთი ჩემი მეგობარი, რომელმაც მიამბო, იქ მათხოვრებს მოწყალების თხოვნის ძალაც კი არ შესწევთო. როდესაც მე ერთ მათგანს მოწყალება გავუწოდე, ამ ბოვშმა წაილუღლუღა: ხომ არ მომცემ თუნდაც 3 მარცვალ ლობიოს? იუგოსლავიაში ხალხი სანაგვე ორმოებში ეძებს რესტორანებიდან გადაყრილი საჭმლის ნარჩენებს“.

გერმანელ მოიერიშეთა ახალი რაზმების ჩასვლა იტალიაში

ბერნი, 1 ნოემბერი (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, ჩრდილოეთ იტალიაში კვლავ მოდიან მოიერიშეთა რაზმები და გერმანიის ჯარები. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ჩრდილოეთ იტალიაში ამჟამად იმყოფება სულ მცირე 20-25 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და მოიერიშე.

იტალიაში გაცემულია განკარგულება, რომ ყველა იტალიელი ვალდებულია ფეხზე ადგეს არა მარტო ფაშისტური ჰიმნის შესრულების დროს, არამედ გერმანული ნაცისტური ჰიმნის შესრულების დროსაც. ამ განკარგულებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მოსახლეობის ყველა ფენაში, მათ შორის იტალიის ფაშისტური პარტიის ბევრ წევრს შორისაც. ნეაპოლში პარტიიდან გარიცხეს 3 ფაშისტი, რომლებიც ნაცისტთა ჰიმნის შესრულების დროს დემონსტრატიულად განაგრძობდნენ ჯდომას.

გერმანელი ფაშისტები ჰკლავენ მძიმედ დაჭრილთ

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). დასახიჩრებულთა არმია, რაც თანდათან მატულობს, მრისხანე აჩრდილად აღმართულა გერმანელი გენერლების წინაშე. გერმანელი ფაშისტები, რომელთაც სურთ თავიდან აიცილონ ზედმეტი შრომა, მეთოდურად სპობენ თავიანთ დაჭრილ ჯარისკაცებს.

როგორც ამერიკის ოვერსის ნიუსის სააგენტო იუწყება, ნორვეგიელმა ექიმმა, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების მომენტიდან გერმანიის არმიის რიგებში იმყოფება, დაჭრილი ჯარისკაცებისადმი გერმანელ მეთაურთა მოპყრობის შესახებ შემდეგი განაცხადა: გერმანელები ბრძოლის ველზე სტოვებენ ან იქვე ჰკლავენ მძიმედ დაჭრილთ, რათა თავიდან აიცილონ ნელა მომაკვდავ ადამიანთა მოვლა. სამედიცინო პერსონალს ნაბრძანები აქვს მხოლოდ იმ ადამიანებს უმკურნალოს, რომელთა გამოყენებაც კვლავ შეიძლება ფრონტზე. არმია დიდ გაჭირვებას განიცდის ექიმების, წამლის, შესახვევი მასალისა და საველე ლაზარეთების დიდი ნაკლებობის გამო. ყოველ დღე სწვავენ გვამების გროვებს, მაგრამ კვლავ იზრდება დასახიჩრებულთა და იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ჭრილობებისა და ავადმყოფობისაგან კვდებიან.

პარტიზანული ბრძოლა იუგოსლავიაში

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბერნელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, იუგოსლავიის გაზეთი „ნოვო ვრემე“ იუწყება, რომ იუგოსლავიაში ბრძოლა გრძელდება. სოფელ ბელონოვიჩში გაიმართა ბრძოლა ადგილობრივ გარნიზონსა და 200 პარტიზანისაგან შემდგარ რაზმს შორის. ბრძოლა მთელ ღამეს და მეორე დღის დილას გრძელდებოდა.

მძევალთა სიკვდილით დასჯა საბერძნეთში

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სტოკჰოლმიდან გადმოგვცემს, მიღებული ცნობების თანახმად, საბერძნეთში 2 გერმანელი ჯარისკაცის მოკვლისათვის სიკვდილით დასაჯეს 13 მძევალი.

ჰიმლერი პრაღას ჩავიდა

ჟენევა, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის დღე პრაღაში დიდი ამბებით აღინიშნა. გერმანიის ხელისუფალნი შეშფოთდნენ და 29 ოქტომბერს პრაღას ჩავიდა თვითონ ჰიმლერი, გესტაპოს უფროსი. პრაღიდან მიღებული ცნობებით, „დაუდევრობისათვის“ თანამდებობიდან დაითხოვეს მთელი რიგი გესტაპოელი მოხელე, დარჩენილთაგან ორ მოხელეს ჰიმლერმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა. მთელს ქალაქში მასობრივი ჩხრეკა და დაპატიმრება ხდება.

ბესარაბიის ყოფილი რუმინელი გუბერნატორი სიკვდილით დასაჯეს

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოვერსის ნიუსის სააგენტო გადმოგვცემს, ბუქარესტიდან მიღებულია წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ იქ სიკვდილით დასაჯეს ბესარაბიის ყოფილი რუმინელი გუბერნატორი გენერალი ჩიუპერკა. ჩიუპერკა იმისათვის დასაჯეს, რომ იგი უარყოფითს დამოკიდებულებას იჩენდა საბჭოთა კავშირთან ომისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრის თანაშემწის განცხადება

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ფილადელფიიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრის თანაშემწემ ფორესტოლმა „სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის“ დღესასწაულზე გამოსვლის დროს განაცხადა, რომ საესკადრო ნაღმოსანი „კერნი“ უფრო მეტად დაზიანდა, ვიდრე რომელიმე სხვა საესკადრო ნაღმოსანი, იმათ გარდა, რომლებიც ჩაძირულ იქნა. ტორპედომ, რომელიც საესკადრო ნაღმოსანს მოხვდა, შეანგრია შტირბორტი, საქვაბე, დაანგრია ზედა გემბანი და გემის ზედა ნაგებობათა ნაწილი. საესკადრო ნაღმოსნიდან გადარჩენილ პირთა გადმოცემით, ამერიკის ახალი საესკადრო ნაღმოსნების კონსტრუქცია ყველა არსებულ კონსტრუქციაზე უკეთესია.

დასასრულ ფორესტოლმა განაცხადა, რომ საზღვაო მშენებლობის პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატები დაამთავრებენ 1946 წლის ნოემბერში, ე. ი. დანიშნულ ვადაზე ერთი წლით ადრე.

კომუნისტი

კვირა, 2 ნოემბერი, 1941 წ. № 260 (6265)

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ 29 ოქტომბერს ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მტრის საზღვაო ბაზას ბრესტში. დოკებს დიდძალი ფუგასური ბომბები დააყარეს. დაბომბილ იქნა აგრეთვე მტრის აეროდრომები ჰოლანდიაში. ინგლისის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

იმავე დღეს ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ რეჯო-დი-კალაბრიის რაიონს და კატანძაროს (სამხრეთ იტალიაში) და ბენგაზისა და ტრიპოლის ნავსადგურებს.

როგორც ავიაციის სამინისტრო იუწყება, 29 ოქტომბრის ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ოლესუნზე თავდასხმისას დაბომბეს ჩრდილოეთის ფრონტზე მოქმედი გერმანიის ჯარების მომარაგების ერთერთი ბაზა. რამდენიმე საათის განმავლობაში ბაზა ცეცხლის ალში იყო გახვეული. სანაპირო დაცვის ბომბდამშენებმა ქარბუქში გადალახეს ჩრდილოეთის ზღვა, რათა თავს დასხმოდნენ მტრის ტრანსპორტების დიდ ჯგუფს. რამდენადაც ბომბების დაშენის შედეგების გამორკვევა შეიძლებოდა, ჩაიძირა 4 ტრანსპორტი სამხედრო ტვირთებითურთ, ერთ ტრანსპორტს ცეცხლი მოედო, მეექვსე გემის ბაქნისზედა ნაგებობანი და ბოგი აფეთქდა, სამხედრო გემი, რომელიც ამ ტრანსპორტებს იცავდა, ძლიერ დაზიანდა. ხანძარი გაუჩნდა ქარხანას, რომელიც უშვებს (გამოტოვებულია). თვითმფრინავებმა ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს გერმანელთა ყაზარმებს, დაბომბეს რადიოსადგური, ელექტროსადგური, ცეცხლი გაუჩინეს სარემონტო სახელოსნოებს. თავის ბაზაში რომ დაბრუნდნენ, მფრინავებმა განაცხადეს, რომ ისინი მტრის გემებს ბომბავდნენ მთვარის შუქზე მათი ანძების წვეროების სიმაღლიდან. ამ ოპერაციებში მონაწილე ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ლონდონი. როგორც ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბი იუწყება, ინგლისის საშუალო ბომბდამშენები 29 ოქტომბერს წარმატებით დაესხნენ თავს სიდერნას, საგორატოს და ლოკრის სამხრეთ იტალიაში. ლოკრში ბომბები პირდაპირ მოხვდა ერთ ქარხანას. სიდერნაშიც ბომბები ქარხანას მოხვდა და ხანძარი გამოიწვია, ხანძარმა მთელი რაიონი დაჰფარა კვამლის სქელი ღრუბლით, რომელიც მრავალი კილომეტრის მანძილზე მოსჩანდა. დიდი ხანძრები გაჩნდა საგორატოში, სადაც ბომბები მოხვდა ზოგიერთ სამხედრო შენობას, რკინიგზის ლიანდაგებსა და წყალსადენის სადგურს. ბომბები პირდაპირ მოხვდა რკინიგზის სადგურსაც. თვითმფრინავები თავს დაესხნენ აგრეთვე კატანძაროს, სადაც ბომბები მოხვდა ერთ ქარხანას და სადგურში მდგომ მატარებელს. საზენიტო ტყვიამფრქვევთა დანადგარები დათრგუნვილ იქნა თვითმფრინავთა ტყვიამფრქვევის ცეცხლით.

ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისის მძიმე ბომბდამშენები 27 ოქტომბერს ღამით თავს დაესხნენ ბენგაზის, 28 ოქტომბერს ღამით კი ტრიპოლის. ბენგაზში ბომბები მოხვდა ჯებირს, ტრიპოლში—საბაჟოს და სამხედრო საწყობების შენობას. დაბომბილ იქნა აგრეთვე აეროდრომი, საწვავისა და საომარი მასალების საწყობები ბარდიიდან ტობრუკისაკენ მიმავალ გზაზე. 28 ოქტომბერს ღამით რაინიცის რაიონში საზღვაო ავიაცია თავს დაესხა მტრის მოტორიზებულ ტრანსპორტსა და მომარაგების ბაზას. საზღვაო ავიაციის თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ თავს კონიოგოს აეროდრომს (სიცილია) და ძლიერ დააზიანეს ანგარები და აეროდრომის შენობები. აბისინიაში 29 ოქტომბერს წარმატებით დაბომბილ იქნა მტრის პოზიციები ამბასოს სამხრეთით. ყველა ამ ოპერაციიდან არ დაბრუნებულა ინგლისის ერთი თვითმფრინავი.

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 30 ოქტომბერს ინგლისის თვითმფრინავები ჩრდილოეთ საფრანგეთში დაფრინავდნენ. ბულონისა და ჰავრის რაიონებში ისინი თავს დაესხნენ მტრის გემებს, ხოლო მორლეს რაიონში აეროდრომ-ანგარს, რომელშიც რამდენიმე თვითმფრინავი იყო. აეროდრომს ცეცხლი გაუჩნდა. ინგლისის ერთი ავიაგამანადგურებელი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

თურქეთის პრეზიდენტ ისმეტ ინენიუს გამოსვლა

ლონდონი. თურქეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულთან დაკავშირებით დღეს სიტყვით გამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ისმეტ ინენიუ, რომელმაც მიმართა თურქ ხალხს და დაბეჯითებით მოუწოდა წარმოების გადიდებისაკენ, რამაც, მისი სიტყვით, შეიძლება ხელი შეუშალოს ომის გავრცელებას თურქეთზე. ინენიუმ განაცხადა: „ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი ძლიერი ხალხის დიად დღესასწაულს მსოფლიო კრიზისის შფოთიან დღეებში. ჩვენი ქვეყანა მშვიდობისა და ერთობის ბედნიერი კერაა. ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ შევასრულოთ უმნიშვნელოვანესი ამოცანა—დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ხელშეუხებლობა. ჩვენი ქვეყანაც გრძნობს მსოფლიო ბრძოლის შედეგებს. ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ ხელი შევუშალოთ ხანძრის ჩვენს ქვეყანაზე გავრცელებას, ან შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა იმ შემთხვევაში, თუ ეს ხანძარი ჩვენზე გავრცელდება, არის ჩვენი მუდმივი მზადყოფნა. ამიტომ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი წარმოება".

შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება

სტოკჰოლმი. რიკსდაგის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა გინტერმა გააკეთა მოხსენება შვეციის საგარეო პოლიტიკის შესახებ. გინტერმა აღნიშნა, რომ დღემდე ძალაშია ის პოლიტიკა, რომელიც შვეციაში ტარდებოდა — არ მივიღოთ მონაწილეობა დიდ სახელმწიფოთა ომში. „ჩვენ, —სთქვა გინტერმა,—კვლავაც უნდა დავიცვათ ეს გზა. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ კავშირურთიერთობა ერთის მხრივ ჩრდილოეთის დანარჩენ ქვეყნებთან, ხოლო მეორე მხრივ მთლიანად ევროპასთან. ჩვენი იმ გადაწყვეტილების მიხედვით, რომ ომში მონაწილეობა არ მივიღოთ, — განაგრძო გინტერმა,—ჩვენ უნდა მოვემზადოთ ერთგვარი იზოლაციისა და კრიტიკისათვის მეომარი ქვეყნების მხრით". გინტერმა ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ შვეციამ დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს.

გადავიდა რა ჩრდილოეთის სხვა ქვეყნების მდგომარეობაზე, გინტერმა განაცხადა: „ჩვენ მწუხარებით ვხედავთ, რომ ნორვეგია და დანია ომის მსხვერპლი გახდნენ. ჩვენ საერთოდ ვერ წარმოგვიდგენია ჩრდილოეთი ისე, რომ მომავალში ყველა მისი ნაწილი სავსებით თავისუფალი არ იყოს".

შეჩერდა რა შვეციისა და ფინეთის ურთიერთობაზე, გინტერმა სთქვა, შვეციამ საქმით დაამტკიცა, რომ ფინეთის, როგორც ჩრდილოეთის სახელმწიფოს, თავისუფლება ჩვენ უშუალოდ გვეხებაო. აღნიშნა რა, რომ ზოგიერთ ვისმე სურს შვეციის მეტი აქტივობა ამ მიმართულებით, გინტერმა გამოსთქვა რწმენა, რომ შვეციის ახლანდელი პოლიტიკა, როდესაც ჩვენ ვცდილობთ ყოველნაირი დახმარება გავუწიოთ ფინეთს ჩვენი რესურსებითა და ინტერესებით, მომავალში გაგებას ჰპოვებსო. „ჩვენ იმედი გვაქვს,— დაამთავრა გინტერმა,—რომ შვეციისა და ფინეთის ხალხთა ერთობა წინანდებურად ურღვევი იქნება".

ამერიკის საესკადრო ნაღმოსან „რუბენ ჯემსის" ჩაძირვა

ვაშინგტონი. საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 30 ოქტომბერს ღამით ისლანდიის დასავლეთით ტორპედირებულ იქნა ამერიკის საესკადრო ნაღმოსანი „რუბენ ჯემსი". გემი ჩაიძირა. „რუბენ ჯემსი" სავაჭრო გემებს ბადრაგობდა. დაწვრილებითი ცნობები არ არის. ჩვეულებრივად ამ საესკადრო ნაღმოსნის ეკიპაჟი 120 კაცისაგან შესდგებოდა. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, ცნობამ „რუბენ ჯემსის" ჩაძირვის შესახებ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ვაშინგტონში. დემოკრატმა სენატორმა აიოვას შტატიდან ჯილეტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს დაიცვას თავისი მეზღვაურნი. რესპუბლიკელმა სენატორმა ჩრდილოეთ დაკოტის შტატიდან ჰარნეიმ განაცხადა, რომ საესკადრო ნაღმოსან „რუბენ ჯემსის" ჩაძირვა ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს ნეიტრალიტეტის კანონის გაუქმების აუცილებლობასო.

ჩეხიაში სიკვდილით დასაჯეს კიდევ 9 კაცი

ჟენევა. აქ მიღებულია გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა იმის შესახებ, რომ ბრნოში (ჩეხია) სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა 9 კაცს. ცნობაში აღნიშნულია, რომ მსჯავრდადებულნი ეკუთვნოდნენ წინააღმდეგობის გამწევ არალეგალურ ჯგუფს, რომელიც ამოცანად ისახავდა საბოტაჟის აქტების განხორციელებას მნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოებში და რკინიგზებზე. ჯგუფს ჰქონდა დიდძალი სასროლი იარაღი, აგრეთვე საომარი მასალები და ფეთქებადი ნივთიერებანი.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

რუმინეთში უკმაყოფილონი არიან ომით

ნიუ-იორკი, 31 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ რუმინეთში იზრდება უკმაყოფილება ომში რუმინეთის მონაწილეობის გამო. აღნიშნავენ, რომ რუმინეთმა ომის განმავლობაში უკვე 250 ათასი კაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

ომმა მოშალა და კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა რუმინეთის მეურნეობა. რუმინეთში უკვე რამდენიმე კვირაა სრულიად არ მოიპოვება მრავალი პროდუქტი, მათ შორის საჭმელი ზეთი და საპონი. იუნაიტედ პრესის სააგენტოს სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ რუმინეთში შიშით მოელიან ზამთარს, რუმინეთში სურსათის ნაკლებობაა, ტანსაცმელი არ არის. მთავრობამ, რომელმაც წინათ მთლიანად ჩამოართვა მოსახლეობას მატყლი, ახლა მონადირეებს მოსთხოვა ჩააბარონ არმიის საჭიროებისათვის სხვადასხვა ცხოველის ბეწვეული.

ბუქარესტიდან ჩამოსული პირნი გადმოგვცემენ შემდეგ ინციდენტს, რომელიც ბუქარესტის ერთერთ კინოთეატრში მოხდა. ერთ-ერთ კინოქრონიკის ჩვენების დროს, რომელშიც გადაღებული იყო ჰიტლერი, დარბაზში ერთსულოვანი სტვენა გაისმა. დარბაზში მყოფმა გერმანელმა ოფიცერმა მოითხოვა სინათლე აენთოთ და წინადადება მისცა ხალხს გაეცა დამნაშავე. მაგრამ ოფიცერმა ვერაფერს მიაღწია. რეპრესიის სახით კინოთეატრი სამი კვირით დახურეს.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ საბოტაჟის, არეულობისა და არმიიდან დეზერტირობის ხშირი შემთხვევების გამო, აღმოსავლეთ რუმინეთში მნიშვნელოვნად გაძლიერებულია გესტაპოს განყოფილებანი.

მიღებულია აგრეთვე ცნობები, რომ დიდი უკმაყოფილებაა რუმინეთში დაბანაკებულ გერმანიის არმიის ნაწილებში. როგორც გადმოგვცემენ, წარსულ კვირას იასში ავსტრიელი ჯარისკაცები აჯანყდნენ. შეტაკების დროს მოკლულ იქნა ორი გერმანელი ოფიცერი.

რუმინეთში ნავთის ამოღება შემცირდა

სტამბოლი, 1 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „დონაუ ცაიტუნგი" იუწყება, რომ რუმინეთში 1941 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ნავთის ამოღება 2.600 ათას ტონას შეადგენდა, გასული წლის პირველ ნახევარში კი 3.050 ათასი ტონა იყო. მიმდინარე წლის ამავე პერიოდში რუმინეთიდან ნავთისა და ნავთის პროდუქტების გაზიდვა დაახლოებით ერთნახევარ მილიონ ტონას შეადგენდა, 1940 წლის პირველ ნახევარში კი 1.800 ათასი ტონა იყო.

ესპანეთის მიერ ემიგრანტების გადაცემა გერმანელთათვის

ლონდონი, 1 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, რომ ესპანეთის ხელისუფალნი დაუყოვნებლივ აპატიმრებენ და უკან აბრუნებენ, ე. ი. გერმანელებს გადასცემენ ხოლმე ჩეხებს, პოლონელებს, ბერძნებსა და ბელგიელებს, რომელნიც ალჟირიდან, ტუნისიდან, ან საფრანგეთის მაროკოდან ახერხებენ ესპანეთის მაროკოში გადასვლას.

შანხაიში გერმანელი ფაშისტები და მათი აგენტები ტერორისტულ აქტებს ამზადებენ საბჭოთა მუშაკების წინააღმდეგ

შანხაი, 29 ოქტომბერი (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). 26 ოქტომბერს შანხაიში გერმანელთა რადიოსადგური პროვოკაციული განცხადებით გამოვიდა საკდესისა და მისი შანხაის განყოფილების ხელმძღვანელ ამხ. როგოვის წინააღმდეგ. ამის შემდეგ გერმანელ ფაშისტთა აგენტურამ, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც ვანძინეველთა წრეს ეკუთვნიან, აშკარად დაუწყო თვალყურის დევნება ბევრ საბჭოთა მუშაკს და საკდესის კორესპონდენტებს. ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეებში შეიტყეს, რომ გერმანელი ფაშისტები შანხაიში ვანძინეველთა ელემენტებთან და ზოგიერთ იაპონელთან ერთად ტერორისტულ აქტებს ამზადებენ საბჭოთა მუშაკებისა და საკდესის კორესპონდენტთა წინააღმდეგ.

მებრძოლი პატრიოტები

პოლკოვნიკი პავლე გორგასიძე

პოლკოვნიკი პავლე კონსტანტინეს-ძე გორგასიძე, ყველგან, სადაც მას უმუშავნია, საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. თავდადებული, წყნარი, მორიდებული წარმოსადეგი ვაჟკაცი, იგი ამავე დროს მტკიცე ნებისყოფისა და უაღრესად დისციპლინიანი მუშაკი, წითელი არმიის მეთაურთა ტიპური წარმომადგენელია.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებამდე იგი საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. ყველას უყვარდა იგი აქ, ყველა პატივსა სცემდა, ყველა უჯერიდა. გამოცხადდა თუ არა დიდი სამამულო ომი, პოლკოვნიკმა პავლე გორგასიძემ, როგორც სამშობლოს ერთგულმა პატრიოტმა, საბჭოთა ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულმა შვილმა, ფრონტს მიაშურა. იგი სამშობლოსათვის, დიდი სტალინის საქმისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩადგა.

სექტემბერში პოლკოვნიკი გორგასიძე ყიოვის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. იგი პირადი მოწმე იყო იმისა, თუ რა გმირულად ებრძოდნენ ფაშისტთა ურდოებს წითელი არმიის ნაწილები და რა შეუპოვრად იცავდნენ ფაშისტ დამპყრობელთაგან ჩვენი მებრძოლები საბჭოთა მიწა-წყალს.

28 სექტემბერს სოფ. ბ-სთან სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო პოლკოვნიკ პ. გორგასიძის ნაწილმაც. იგი პირადად ხელმძღვანელობდა ამ ბრძოლას, წინ მიუძღოდა და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა წითელ მებრძოლებს. თავის ერთერთ უკანასკნელ წერილში ამხ. გორგასიძე თავის მეუღლეს სწერს:

— იწყება სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა! წყეული ჰიტლერელები შეტევაზე გადმოვიდნენ ჩემს უბანზე და მაიძულებენ შევწყვიტო ამ ღია ბარათის წერა. ბრძოლა იქნება უსასტიკესი... ცეცხლის გრიგალით მოდიან, ცეცხლის გრიგალითვე ვხვდებით... შემატყობინეთ თქვენი ამბავი...

მრავალი დღეების ბრძოლების მიუხედავად, ფაშისტთა ურდოებმა ვერ შესძლეს ამ უბანზე წინწაწევა, რისი ცდაც მათ მრავალი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლედ, აგრეთვე დიდძალი სამხედრო ქონების დაკარგვად დაუჯდათ.

და, აი, ასეთი ბრძოლებში გართული პოლკოვნიკი გორგასიძე შვილისგან ღებულობს წერილს. მამის გული გახარებულია შვილის ბარათით და იგი ერთხელ კიდევ უმეორებს მას თავის რჩევადარიგებას:

— ჩემო ძვირფასო შვილიკო! მადლობელი ვარ, რომ გაიხსენე მამა და წერილი მომწერე. იცოცხლე და იყავი კარგად. დარწმუნებული ვარ, შეასრულებ ჩემს დავალებას, ე. ი. (ხომ გახსოვს?) ისწავლი „ფრიადზე" და მუდამ ერთგული იქნები ლენინ-სტალინის პარტიისა, მუდამ შეურიგებელი იქნები ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს მტრებისადმი. რაც შეეხება შენს მამას, დარწმუნებული იყავი, შენი მამიკო ყოველთვის თავისი მოწოდების სიმაღლეზე იქნება და სანამ გული მკერდში უცემს, დაუზოგავად გაანადგურებს ჩვენი სამშობლოს მტრებს, საზიზღარ ჰიტლერელებს. მაშ, ასე ჩემო კოტე, ხშირად გამომიგზავნე წერილები და გაახარე შენი მამა...

ამასწინათ პავლე გორგასიძის მეუღლემ ანტონინა ნიკოლოზის-ასულმა მიიღო ქმრის ამბავი: 30 სექტემბერს გამართული გააფთრებული ბრძოლისას პოლკოვნიკი გორგასიძე დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ მიატოვა. საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, დაჭრილი პოლკოვნიკი ბოლომდე ხელმძღვანელობდა ბრძოლას...

პავლე კონსტანტინეს-ძე გორგასიძე დაიბადა 1898 წელს მჩარეული მუშის ოჯახში. 1917 წელს იგი გაიწვიეს მეფის არმიაში. 1921 წლის დასაწყისში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი მოხალისედ შევიდა წითელი არმიის რიგებში. 1925 წელს ამხ. პ. გორგასიძე ლენინ-სტალინის პარტიაში მიიღეს. შემდეგ წლებში იგი სწავლობდა უმაღლეს სამხედრო-პედაგოგიურ სკოლაში, ხოლო შემდეგ ტაქტიკას ასწავლიდა ერთერთ სამხედრო სასწავლებელში.

1937 წლიდან საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებამდე პოლკოვნიკი პ. გორგასიძე საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოში მუშაობდა.

დ. ლომთაძე

ორგზის ორდენოსანი მაიორი კირილე კოჭოს-ძე ჯახუა

„კრასნაია ზვეზდაში" გამოქვეყნებულ ერთერთ სტატიაში „გერმანელთა ზარალი გომელთან" გენერალ-მაიორი ი. ბერეზოვსკი სწერდა:

„...14 ავგისტოს გერმანელებმა იერიშზე გადმოიყვანეს მთელი თავისი ძალები. ექვს დღეს არც დღე, არც ღამე არ შესუსტებულა შეუპოვარი ბრძოლები. ამხანაგების ვორონინის, მანევიჩისა და ჯახუას ნაწილები, რომლებიც გაძლიერებული იყვნენ გომელის სახალხო ლაშქრით, გმირულად იცავდნენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს... სოფ. პოკოლიუბიჩი ხელიდან ხელში გადადიოდა. ამხ. ჯახუას ნაწილმა სამჯერ კონტრიერიშით წაართვა ეს სოფელი გერმანელებს და დიდი ზარალი მიაყენა ფაშისტთა ბატალიონებს".

ამ ბრძოლაში მაიორი კ. ჯახუა დაიჭრა. საავადმყოფოდან ცოლს მოსწერა წერილი თბილისში: „ძვირფასო მაგდალინა! დიდი ხანია ამბავი ვერ გაცნობეთ, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის. 22 ავგისტოს ბრძოლაში დავიჭერი. ჭრილობა მაინცდამაინც მძიმე არ არის. საავადმყოფოში ვარ, მალე დავუბრუნდები ჩემს საყვარელ ნაწილს და ვიბრძოლებ ჩემ გმირ წითელ მებრძოლებთან ერთად საზიზღარი მტრის წინააღმდეგ. კარგად იყავი. ჩემი ჯავრი ნუ გაქვს. მტერი ვერ დაგვჩაგრავს. შენი კირილე".

დიდი სამამულო ომის დაწყებისას ამხ. კ. ჯახუა თავისი ნაწილით მდ. ბუგის ნაპირებზე იდგა და საბჭოთა საზღვრებს იცავდა. მტრის შემოსევა მოულოდნელი იყო. მაიორი კ. ჯახუა მტრის გარემოცვაში მოჰყვა, მაგრამ მტკიცე ბოლშევიკისა და წითელი მებრძოლის ნებისყოფა ვერ გასტეხა შექმნილმა მძიმე საბრძოლო მდგომარეობამ. მან ვაჟკაცური ბრძოლით გაარღვია გარემოცვა და შეუერთდა წითელი არმიის მთავარ ძალებს.

„სამ დღეღამეს გარშემორტყმული ვიყავით მტრისაგან, — სწერდა ამხ. კ. ჯახუა ცოლს,—სამ დღეღამეს განუწყვეტლივ გვიშენდნენ ყოველი მხრიდან, მაგრამ ვერ გაგვტეხეს. ჩვენი საპასუხო ცეცხლი ანადგურებდა მტრის რიგებს. ჩემმა ნაწილმა ვაჟკაცურად გაარღვია მტრის რკალი და შევუერთდით ჩვენს არმიას.

ჩემი ხასიათი ხომ იცი,—მტერი არასოდეს არ გამიხარებია. ხომ გახსოვს, ბევრს ავუტირე დედა ფინეთში ახლა ფაშისტებს უარესი დღე დავაყენე ჩემი მამაცი ბიჭებით".

მაიორი კ. ჯახუა თეთრფინელებთან ომის სახელოვანი მონაწილეა, საუკეთესო მებრძოლი, გამოცდილი მეთაური.

დაიბადა ამხ. კ. ჯახუა სოფ. ჯოლევში (მარტვილის რ.). ღარიბი მამა ჰყავდა. პირველდაწყებითი სწავლა ჯოლევში მიიღო, შემდეგ ფოთში წავიდა სახელოსნო სკოლაში შესასვლელად, მაგრამ უსახსრობის გამო გემსაშენში მოეწყო მუშად. მძიმე ცხოვრება ჰქონდა ახალგაზრდა კირილეს, მაგრამ ყოჩაღი ყმაწვილი გულს არ იტეხდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეთაურთა სკოლაში შევიდა. გულმოდგინედ სწავლობდა. საუკეთესო მსმენელი იყო. 1926 წელს ჩინებულად დაამთავრა სკოლა და მეთაური გახდა. 1933 წელს შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს. 4 წლის განმავლობაში ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქალაქებში მდგომ ნაწილებში იყო, დივერსანტებთან ბევრ შეტაკებასა და ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. იქიდან კაპიტნის წოდებით და ლენინის ორდენით დაბრუნდა. ცოტა ხანს დაჰყო თბილისში და შემდეგ მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში შევიდა. ზედმიწევნით დაეუფლა სამხედრო მეცნიერებას.

ის იყო აკადემია დაამთავრა, რომ თეთრფინელებთან ომი ასტყდა. ამხ. კ. ჯახუა უკვე მაიორი იყო. ერთხანს მოქმედი არმიის № შენაერთის შტაბში მუშაობდა, მაგრამ მალე ითხოვა მოწინავე პოზიციებზე გაგზავნა. მას პოლკი ჩააბარეს და მისმა ნაწილმა თავი ისახელა მანერჰაიმელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი პოლკი ერთი პირველთაგანი შეიჭრა ვიბორგში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ამხ. კ. ჯახუა დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

15 სექტემბერს მაიორი კირილე ჯახუა გამოეწერა საავადმყოფოდან და დაუბრუნდა თავის მებრძოლებს. იგი ახლა კვლავ გააფთრებით ებრძვის ჰიტლერელთა ურდოებს, რომლებიც ემუქრებიან ჩვენს სასიცოცხლო ცენტრებს.

„არ გავახარებთ მტერს, ჩემო მაგდალინა!—სწერს ამხ. ჯახუა ახლახან გამოგზავნილ წერილში. — სისხლიდან დავცლით, სულს ამოვხდით. ერთიათად მივუზღავთ პირსისხლიან ქოფაკებს ჩვენი დედების, დებისა და შვილების გამწარებისათვის. წინ, სამშობლოსათვის, სტალინისათვის! — ამ ძახილით მივდივართ მტერზე, ამ ძახილით საბოლოოდ ალეგით მათ დედამიწის ზურგიდან".

შ. ცვინარიძე.

ჯავშნიანი მატარებლის მეთაური კაპიტანი ა. დ. ჯახიევი

ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ ჯავშნიანი მატარებლის მეთაურს კაპიტან ალექსი დავითის-ძე ჯახიევს. მან სახელი გაითქვა როგორც სამამულო ომის გმირმა მებრძოლმა, სოციალისტური სამშობლოს თავდადებულმა დამცველმა. მისი მატარებლის ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევთა ცეცხლი რისხვად ეცემა თავს გამხეცებულ ფაშისტთა ურდოებს და მუსრს ავლებს მათ. ბევრი შავი დღე ახსოვთ ფაშისტ ბანდიტებს ჯახიევის მატარებლისაგან.

პრესას არაერთხელ გამოუტანია თავის ფურცლებზე ამხ. ჯახიევის გმირული საბრძოლო საქმეები.

ბევრი საგმირო ეპიზოდებით არის აღსავსე კაპიტანის საბრძოლო ცხოვრება.

ჯავშნიანი მატარებლის სახელმოხვეჭილი მეთაური დაბადებულია ქ. გორში 1908 წელს. მან თბილისში მიიღო საშუალო განათლება და იქვე გაიწვიეს წითელ ჯარში. მას წითელი მებრძოლის საუკეთესო თვისებები აღმოაჩნდა და მუდმივად იქნა დატოვებული არმიაში. რიგითი წითელარმიელი ბეჯითად დაეწაფა სამხედრო ხელოვნების შესწავლას და მალე მეთაური გახდა. მსახურობდა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქში. კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაღალი სამხედრო სპეციალობის დასაუფლებლად სწავლობდა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის თბილისის ფილიალში. უკანასკნელ ხანებში ცალკე ჯავშნიან მატარებლის მეთაურად დაწინაურდა. მას ახასიათებენ როგორც ავტორიტეტიან, გამჭრიახ, მოსაზრებულ, მტკიცე ნებისყოფის მებრძოლ-მეთაურს.

სამამულო ომამდე 3 თვით ადრე სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, ლენინ-სტალინის პარტიის წევრად მიიღეს.

თავისი მაღალი თვისებები წითელი არმიის მებრძოლი მეთაურისა მან გამოამჟღავნა გერმანიის პირსისხლიან ფაშიზმთან საბჭოთა ხალხის დიდ მრისხანე სამამულო ომში.

მან პოლიტხელ ამხ. პოლიუსიკთან ერთად ამ ომის ქარცეცხლში გამობრძმედა სამშობლოსათვის თავდადებულ, შამაც მებრძოლთა კოლექტივი, რომელიც სანიმუშოდ და ზუსტად ასრულებს მის წინაშე დასმულ ყველა ამოცანას. ამ მებრძოლთა საგრძნობი ნაწილი საქართველოდან არის.



თბილისის ტროლეიბუსების შოფერი ამხ. ნიკოლოზ კვაჰანტირაძე ჯახიევის მატარებელზე მსახურობს მეზვერავად, შოთა ჰელიძე ამ მატარებლის მებრძოლია, თბილისის სორთქლმავლო დეპოს ყოფილ მემანქანეს ამხ. ვოლოკიტინს ახლა ჯახიევის ჯავშნოსანი დაჰყავს ცეცხლის ხაზებზე, იგი ამასთან საუკეთესო სნაიპერიც არის და საჭირო მომენტში მარჯვედ ესვრის და ანადგურებს მტერს. ამ მატარებელზე მსახურობს ფხიზელი ლეიტენანტი ამხ. ზალდოევი—დაზვერვის ოსტატი, რომელსაც არაერთხელ გადაურჩენია ჯავშნოსანი აუცილებელი აფეთქებისაგან.

უსაზღვროდ უყვართ მათ თავისი სამშობლო, უყვართ და ამაყობენ თავისი კაპიტანითაც. კაპიტანიც თვითეულ მათგანს თვალის ჩინივით უფრთხილდება.

ამასწინათ მშობლებისადმი გამოგზავნილ წერილში ამხ. შოთა ჰელიძე იწერებოდა—„ისეთი უფროსი მყავს, რომ მისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებო".

ამხ. ნიკოლოზ კვაჰანტირაძე კი თავის ამხანაგებისადმი მოწერილ წერილში სიამაყის გრძნობით იუწყებოდა, რომ ის კაპიტან ჯახიევის ჯავშნოსანზე იბრძვის მტრის წინააღმდეგ.

ხოლო მატარებლის მთელი მებრძოლი კოლექტივი ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს სახელზე გაგზავნილ წერილში სწერდა: „ვიბრძოლებთ მტრის წინააღმდეგ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე", რითაც ამჟღავნებდა თავის უსაზღვრო თავდადებას დედა-სამშობლოსადმი.

ამხ. ჯახიევი ძუნწი მესიტყვეა და უფრო ძუნწი კალმოსანი, რაზედაც უჩივიან მას ცოლი, დედა და ახლო ნათესავები. ისინი მის შესახებ გაზეთებიდან უფრო მეტს იგებენ, ვიდრე მოწერილი წერილებიდან.

„კარგად ვარ, ვიბრძვი, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, არაფერი გამომიგზავნოთ, ყველაფერი მაქვს", — ასეთია კაპიტანის სტილი. ამ ისეთაც ძუნწ სტრიქონებში ის თავის მებრძოლებსაც არ ივიწყებს.—„გადაეცით ჰელიძის მშობლებს, რომ ის ჩემთან არის და კარგად არისო" — სწერდა ის 15 ოქტომბერს გამოგზავნილ დეპეშაში.

ჭეშმარიტად დასაფასებელი და საყვარელია ასეთი მეთაური და მას კიდეც აფასებენ, იგი დიდად უყვართ.

ან. ქელენჯერიძე

სანიტარი გ. ბ. სოხაძე

გრიგოლ ბესარიონის-ძე სოხაძე დაიბადა 1913 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. გოგოლეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაამთავრა მხოლოდ ოთხი ჯგუფი. შემდეგ ეწეოდა მეურნეობას. კოლმეურნეობის დაარსების პირველი დღიდანვე აქტიურად მუშაობდა კოლმეურნეობაში. 1937-38 წლებში გაიარა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო მომზადება. 1939-40 წლებში ამხ. გ. სოხაძე მუშაობდა ზაჰესის შინაგანი დაცვის რაზმში. ზაჰესიდან ისევ კოლმეურნეობას დაუბრუნდა, სადაც უკანასკნელ დრომდე თავდადებულად მუშაობდა.

მიმდინარე წლის 22 ივნისს მობილიზაციის გამოცხადებისთანავე გ. სოხაძე გაიწვიეს წითელ არმიაში და ჩარიცხეს სანიტარულ ნაწილში. გერმანელ ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში მას ექვს დღეს მოუხდა ყოფნა. იგი მამაცურად ხოხავდა სანგრიდან სანგარში, ცეცხლის ხაზიდან მედპუნქტში და შველოდა დაჭრილ მებრძოლებს: გადაჰყავდა, საფარს უპოვნიდა, ჭრილობას უხვევდა.

ერთერთი გააფთრებული ბრძოლის დროს, რომელმაც დაახლოებით ექვს საათს გასტანა, ამხ. სოხაძემ ცეცხლის ხაზიდან ცხრამეტი დაჭრილი მებრძოლი გამოიყვანა. ხოლო მეორე დღეს, 24 სექტემბერს, შეტევითი ბრძოლის დროს, როცა საფართან მიიყვანილ დაჭრილ მებრძოლს ჭრილობას უხვევდა, მარჯვენა მაჯაში დაიჭრა ვერაგი მტრის ტყვიით. მას შემდეგ ამხ. სოხაძე ჰოსპიტალში წევს. ახლა თითქმის უკვე განკურნებულია.

ერთ დღეს ჰოსპიტალის ექიმმა უთხრა სოხაძეს: „ჩვენ გადავწყვიტეთ რამდენიმე დღით შვებულებაში გაგიშვათ, სოფელში დასვენება კარგია".

— არა, ამხანაგო ექიმო, მე შვებულება არ მინდა. როცა აქედან გამწერთ, გთხოვთ ისევ ფრონტზე გამგზავნოთ. მხოლოდ მაშინ მოვისვენებ, როცა გმირული წითელი არმია დედამიწის პირიდან აღგვის ფაშისტ კაციჭამიებს.

ბრძოლა ლენინგრადის ფრონტზე

ლენინგრადის ფრონტი, 31 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). უკანასკნელ დღეებში ფაშისტმა ბარბაროსებმა განაახლეს თავიანთი ცდა დაბომბონ ლენინგრადი. საჰაერო თავდასხმის ბაზად მათ ერთ-ერთი შორეული ზურგის აეროდრომი აირჩიეს. გუშინ კაპიტან პოლიაკოვის მოიერიშეთა ქვეგანაყოფმა საბრძოლო დავალება მიიღო— გაენადგურებინა მტრის აეროდრომი. მტრის მოსასპობად მფრინავებს გაუძღვნენ ლენინგრადის სახელოვანი დამცველები — ამხ. პოლიაკოვი, სმიშლიაევი, შალიმოვი და ზარმინსკი. საბჭოთა მოიერიშენი ტყვიამფრქვევ-ზარბაზნის ცეცხლის განუწყვეტელ ნიაღვრად დაატყდა თავს მტრის მანქანებს. მოიერიშეებმა არ აცალეს მტერს გონს მოსულიყო და ყუმბარების მნიშვნელოვანი ტვირთი დააყარეს. საშინელი ძალის მრავალმა აფეთქებამ ჰაერი შეარხია. თვითმფრინავების ნამტვრევები მაღლა ავარდა ჰაერში. აეროდრომი კვამლში გაეხვია.

ამ გამანადგურებელი საიერიშო შეტევის შედეგად მოსპობილია ფაშისტთა არა ერთი ათეული ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი.

ყირიმის დამცველები გმირულად იცავენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწას

მოქმედი არმია, 30 ოქტომბერი (საკდესი). ფაშისტთა ურდოები არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან და ყირიმისაკენ მოიწევენ. ყველა უბანზე, განსაკუთრებით ნ-ს რაიონში, სადაც მტერმა ქვეითი ჯარის, არტილერიისა და ავიაციის დიდ ძალებს მოუყარა თავი, გააფთრებული, სისხლისმღვრელი ბრძოლაა. ჩვენი ჯარის ნაწილები მამაცურად აკავებენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების შემოტევას და უდიდეს ზარალს აყენებენ მტერს. ინტენსიური საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერი შემოიჭრა ჩვენი № ცხენოსანი ნაწილის განლაგებაში და რამდენადმე შეავიწროვა მისი ცალკეული ქვეგანაყოფნი. ჩვენმა ცხენოსნებმა გადააჯგუფეს ძალები, ენერგიული კონტრიერიში მიიტანეს, უკუაგდეს მტერი და თავდაცვის წინანდელი ხაზი აღადგინეს. ამ ბრძოლის შედეგად მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 1.000 მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი, 60 ვარგისი ტყვიამფრქვევი, 20 ნაღმსატყორცნი, დიდძალი შაშხანა და საომარი მასალა.

მამაცურად იბრძვიან კაპიტან კობზარენკოს ქვეგანაყოფის არტილერისტები. ფაშისტთა 19 თვითმფრინავი ბომბავდა მის ბატარიებს. ოსტატურად შენიღბვის გზით კობზარენკომ შეინარჩუნა საბატარიო ბუნდები და მატერიალური ნაწილი. როგორც კი მტრის თვითმფრინავებმა წასვლა იწყეს, არტილერისტებმა კვლავ გააჩაღეს ცეცხლი. მათ რამდენიმე ზათქით მოსპეს 8 ავტომანქანა მოტოქვეითი ჯარითურთ, 3 მოტოციკლი და ტანკეტი.

განსაკუთრებით ზუსტად მუშაობენ № საარტილერიო პოლკის მემიზნეები ლიფშიცი და ჩერნოვი. თავისი ზარბაზნების ცეცხლით მათ მოსპეს მტრის ბევრი ცოცხალი ძალა, საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარიები, 3 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

მეთაურ სერგეევის ბატარია, მოწინააღმდეგის მხრივ ძლიერი სროლის მიუხედავად, კვლავ უშენდა ცეცხლს მტრის თავმოყრილ ჯარებს. გერმანელებმა შესძლეს ყუმბარიანი ყუთისათვის ცეცხლის წაკიდება. მებრძოლთა სიცოცხლე საფრთხეში იყო. პოლიტხელმა კრავცოვმა თავი გაიმეტა და ცეცხლის ჩასაქრობად მივარდა. იგი განსაკუთრებული სიდინჯით და მამაცურად მუშაობდა. აფეთქება თავიდან იქნა აცილებული.

შესანიშნავი სიმამაცე გამოიჩინეს მეთაურ ტიტოვის ნაწილის მებრძოლებმა. მტრის ბომბდამშენთა ჯგუფი ცდილობდა დაებომბა საკომანდო პუნქტი. მებრძოლნი მათ ტყვიამფრქვევისა და თოფის შეწყობილი ცეცხლით შეხვდნენ. ჩამოგდებულ იქნა ერთი ბომბდამშენი. ამან კიდევ უფრო გაამხნევა მებრძოლნი. ისინი განაგრძობდნენ ცეცხლის დაშენას და მალე კიდევ 2 ბომბდამშენი ჩამოაგდეს.

მ. ტუროვსკი.

მეთაურ გოლუბევის ჯარის ნაწილები თავიანთ პოზიციებს აუმჯობესებენ

მალოიაროსლავეცის მიმართულება, 30 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). აქ მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობს ცხარე ბრძოლა. გუშინ და დღეს მოწინააღმდეგემ არაერთხელ სცადა შეტევაზე გადმოსულიყო, განსაკუთრებით სოფელ კ-სთან, სადაც ჩვენმა ჯარის ნაწილებმა წარმატებით მოიგერია იერიშები. უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ფრონტის ამ უბანზე ჩვენი პოზიციები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მეთაურ გოლუბევის ჯარის ნაწილებმა ზოგიერთ ადგილას ხელთ იგდეს საკომანდო პუნქტები. ფაშისტებს ახალ-ახალი ძალები მოჰყავთ; ისინი აქეთ-იქით აწყდებიან მთელს უბანზე და ეძებენ ჩვენი თავდაცვის სუსტ ადგილებს, მაგრამ ვერაფერს აღწევენ. ჩვენმა მებრძოლებმა მტრის ვერაგული განზრახვების გაგება და გამოცნობა ისწავლეს.

მამაცობისა და გულადობის მაგალითები გვიჩვენეს ბრძოლაში ლეიტენანტ კოლპაჩევის ქვეგანაყოფის არტილერისტებმა. ისინი ყოველდღე თავს ესხმიან და ზიანს აყენებენ მტრის თავმოყრილ ტანკებს. ამას წინათ ჩვენი თავდაცვის ერთ-ერთ უბანში მტრის 17 ტანკი შემოიჭრა. უფროსმა პოლიტხელმა ქელეზოვსკიმ გრანატების კონებითა და საწვავიანი სითხით სავსე ბოთლებით შეაიარაღა მებრძოლთა ჯგუფები და გზის აქეთ-იქით დააყენა. მათთან ერთად თვითონაც ჩასაფრდა. როდესაც წინა მანქანა მოახლოვდა, ამხ. ქელეზოვსკიმ გრანატების კონა სტყორცნა. გახვრეტილი ავზიდან ცეცხლმოდებული ბენზინი გადმოსკდა. ტანკების კოლონა გაფანტულ იქნა.

ე. კორიავიჩევი.

მებრძოლთა წერილები მოქმედი არმიიდან

„გმირულად დავიცავთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს"

ახლა ყველა ხედავს, რა უსაფუძვლო გამოდგა ფაშისტების მტკიცება გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ. დღეს ფაშისტებიც კი დარწმუნდნენ იმაში, რომ გმირული წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის ადვილი საქმე. ჰიტლერელებს ეს მწარე გამოცდილება ძვირი დაუჯდათ.

წითელი არმიის უძლეველობას ის პატარა წერილიც კი ამტკიცებს, რომელიც უმცროსმა პოლიტხელმა ორდენოსანმა სიმონ აბულაძემ გამოუგზავნა მშობლებს: „ჩემო დედა, მე კარგად ვარ. უკვე სამ თვეზე მეტია ფრონტზე ვიმყოფები, მაგრამ ფაშისტმა მხეცებმა ვერაფერი დამაკლეს. რამდენჯერმე მოინდომეს ცოცხლად ჩავეგდეთ ხელში მებრძოლები, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ".

„ჩვენ, სტალინური ნებისყოფით ნაჭედი თაობა,—გვწერს № ნაწილის მებრძოლი გრიგოლ ნოდია,—გმირულად დავიცავთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს, მშრომელი ხალხის ბედნიერებას, სახელოვნად შევასრულებთ ჩვენს საბრძოლო დავალებებს და არასოდეს შევრცხვებით ჩვენი სამშობლოს წინაშე, დიდი სტალინის წინაშე".

წითელარმიელები რომ თავდადებულად იბრძვიან ჩვენი სამშობლოს მტრის წინააღმდეგ, ისინი რომ შეუდარებელნი და უძლეველნი არიან, ამას ნათლად მოწმობს ის მადლობის წერილები, რომლებიც წითელარმიელთა მშობლებს სამხედრო ხელმძღვანელებისაგან მოსდით. სოფ. საჭამიასერის (ჩოხატაურის რაიონი) მცხოვრებმა კალისტრატე ზარბაზოიამ მიიღო წერილი № ნაწილის პოლიტხელ ბაგრატ ციცქვაიძისაგან. წერილში ვრცლად არის ჩამოთვლილი კალისტრატეს შვილის სოლომონ ზარბაზოიას მიერ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობა, მისი თავდადება და შეუდრეკლობა საბრძოლო დავალებათა შესრულების დროს. წერილი თავდება ასეთი სიტყვებით: „ყოველივე ამის გამო ჩვენი ნაწილი მადლობას უძღვნის ჩვენს საუკეთესო მებრძოლს სიმონს, აგრეთვე მის მშობლებს ასეთი ფხიზელი, ენერგიული და სამშობლოს ნამდვილი პატრიოტი შვილის აღზრდისათვის".

საჩინოს საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების კოლექტივმა წერილი მიიღო ამავე სკოლის მასწავლებელ ანტიფა ჯაფარიძისაგან, რომელიც ამჟამად გმირულად იბრძვის ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ. „მე, თქვენი კოლექტივის წევრს, წილად მხვდა ღირსეული საქმის შესრულება: საკუთარი მკერდით დავიცვა ჩვენი ხალხის მშვიდობიანობა, ჩვენი ქვეყნის საზღვრები... იყავით მუდამ კარგად და მხნედ. გისურვებთ მედგარ ბრძოლას თქვენს სამუშაო უბანზე. ყოველი თქვენგანის კარგი მუშაობა მტრის განადგურების საწინდარია".

საჩინოს საშუალო სკოლის კოლექტივმა ან. ჯაფარიძეს გაუგზავნა ამანათი და წერილი. „მთელი ჩვენი ქვეყნის მრავალი მილიონი ადამიანის თვალი, — სწერენ მას ამხანაგები,—დღეს მომართულია მხოლოდ თქვენკენ, სამამულო ომის დევგმირებო. დარწმუნებული ვართ, თქვენი გმირული ბრძოლა აღგვის პირისაგან მიწისა კაცობრიობის უბოროტეს მტრებს—გერმანელ ფაშისტებს".

ჩვენს გმირ მებრძოლებს ღრმად აქვთ შეგნებული, თუ რას უქადის პირსისხლიანი ფაშიზმი ჩვენს ქვეყანას და რომ საჭიროა თავგანწირული ბრძოლა ჰიტლერელთა ბანდების მოსასპობად.

ტყვიამფრქვევე კომკავშირელი დავით ივანეს-ძე შარაშენიძე რედაქციაში გამოგზავნილ წერილში სწერს:

„ჰიტლერს დასახული აქვს მიზნად დაამხოს ჩვენი ბედნიერი ცხოვრება, მონებად აქციოს ჩვენი ხალხები. მაგრამ გმირი საბჭოთა ხალხი და წითელი არმია არ დაუთმობენ სისხლის მსმელებს საბჭოთა ქვეყნის არცერთ მტკაველ მიწას. ჩვენი წითელი არმია გმირულად იბრძვის ფაშისტური ბანდის მოსასპობათვის".

ერთსულოვანი და თავდადებულია ყოველი საბჭოთა მებრძოლი, ყოველი საბჭოთა ახალგაზრდა სამშობლოს გამარჯვების საქმეში. როგორც წითელარმიელი გრ. კილაძე გვწერს, „საბჭოთა კავშირის პატრიოტი ახალგაზრდობა ასევე გმირულად იბრძოლებს გათავხედებული ფაშიზმის წინააღმდეგ, სამშობლოსათვის, სტალინისათვის".

ან. თევზაძე.

წლიურ გეგმას 4 ნოემბრისათვის ასრულებენ

ამ დღეებში შესდგა საქნავთის მირზაანისა და პატარა შირაქის სარეწაოების მუშაკთა თათბირი, რომელმაც შეაჯამა მუშაობის 9 თვის შედეგები. თათბირმა აღნიშნა, რომ სარეწაოებს განვლილ პერიოდში გარკვეული მიღწევები აქვს მოპოვებული. 9 თვის განმავლობაში მათ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი ტონა ნავთი მისცეს.

თათბირზე სარეწაოების კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულება—ნავთის ამოღების წლიური გეგმა ნაცვლად 7 ნოემბრისა, როგორც ეს გათვალისწინებული ჰქონდათ წინასაოქტომბრო ვალდებულებებში, შეასრულონ უფრო ადრე —4 ნოემბრისათვის.

ირ. მოლოდინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

მოსახლეობის სამხედრო სწავლება და პარტიული ორგანიზაცია

მოსახლეობის საყოველთაო სამხედრო მომზადების ბოლშევიკურად მოწყობა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

პირველადი პარტორგანიზაციების მრავალმა ხელმძღვანელმა სწორად გაიგო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება—სსრ კავშირის მოქალაქეთა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების შემოღების შესახებ. ისინი დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ ამ საქმის სათანადოდ წარმართვას.

თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის პარტბიურომ (მდივანი—გ. კიკაჩეიშვილი) შეისწავლა და განიხილა საკითხი სამხედრო მეცადინეობის მიმდინარეობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ამხანაგი უპასუხისმგებლოდ ეკიდება სამხედრო საქმის შესწავლას. მაგალითად, სტუდენტები ა. დვალი, ი. ტატიშვილი, შ. კილურაძე, ს. გილი და სხვ. სამხედრო მეცადინეობას ხშირად აცდენდნენ, უდისციპლინობას იჩენდნენ სწავლების დროს. ინსტიტუტის პარტბიურომ და დირექციამ უდისციპლინოთა მიმართ ზეგავლენის სათანადო ზომები მიიღეს. ამან ხელი შეუწყო დისციპლინის განმტკიცებას. ახლა ზემოაღნიშნული ამხანაგები გამოსწორდნენ, სისტემატურად ესწრებიან მეცადინეობას და ეუფლებიან სამხედრო საქმეს.

პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. კიკაჩეიშვილი სამხედრო მეცადინეობას სისტემატურად ესწრება და განაყოფის მეთაურს ეხმარება სამხედრო სწავლების წარმატებით მოწყობაში. ამიტომ არის, რომ სტომატოლოგიური ინსტიტუტიდან მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენა იშვიათია.

ასევე წარმატებით ხელმძღვანელობენ სამხედრო სწავლებას თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკის, ასფალტ-ბეტონის ქარხნის, ლითონ-კონსტრუქციების ქარხნისა და სხვ. პარტორგანიზაციები. პარტბიუროთა მდივნები უწევენ კონტროლს სამხედრო სწავლებაში ჩაბმულთა დასწრებას მეცადინეობაზე, ხელს უწყობენ სწავლების ორგანიზებულად ჩატარებას.

მაგრამ ყველგან ასე როდია დაყენებული მუშაობა. ზოგიერთი პარტბიუროს მდივანი საკმაო ყურადღებით არ ეკიდება ამ საქმეს. ისინი მარტო სიების შედგენით დაკმაყოფილდნენ, საყოველთაო სამხედრო სწავლების საქმე დამთავრებულად ჩასთვალეს და დამშვიდებას მიეცნენ.

თბილვაჭრობის საზაფხულო წერტის (პარტბიუროს მდივანი—ს. ხატიევი), დახურული ბაზრის (მდივანი—კ. ნიშნიანიძე), „ზაგოტზერნოს" დატვირთვის ბიუროს (მდივანი—მ. კარაპეტიანი) ცალკე მუშაკები ხშირად აკლდებიან სამხედრო მეცადინეობას. ხოლო პირველადი პარტორგანიზაციის პარტბიუროთა მდივნები არავითარ ზომებს არ ღებულობენ მათ მიმართ, არ განიხილავენ საკითხს სამხედრო მეცადინეობის მიმდინარეობის შესახებ.

პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მტკიცედ უნდა შეიგნონ სამხედრო სწავლების სანიმუშოდ დაყენების ამოცანები, კონკრეტული დახმარება გაუწიონ სამხედრო კომისარიატებს საყოველთაო სამხედრო სწავლების სანიმუშოდ დაყენებაში.

ელ. ჩიტიშვილი

მასობრივი პოლიტიკური აგიტაცია და საწარმოო აღმავლობა

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ სამამულო ომთან დაკავშირებით ახლებურად მოაწყო თავისი მუშაობა. ფაშისტურ გერმანიასთან საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ ქარხნის პარტბიურო თავის სხდომებზე ხშირად იხილავს საწარმოო საკითხებს და სახავს ღონისძიებებს ახალი საწარმოო გამარჯვებისათვის. განხილულ იქნა ორასოვანთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის, ლითონის ხარისხის გაუმჯობესების და სხვა საკითხები. პარტორგანიზაციის მთელი სააგიტაციო - მასობრივი და პოლიტიკური მუშაობა მიმართულია მოცემულ სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისაკენ.

სერიოზული ყურადღება ექცევა მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციას. ქარხანაში გამოყოფილი 45 აგიტატორი ყოველდღიურად ეწევა ბოლშევიკურ აგიტაციას მუშა-მოსამსახურეებთან, აცნობს მათ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, „პრავდის" მეთაურ წერილებს, მებრძოლი პატრიოტების თავდადებულ ბრძოლასა და საგმირო საქმეებს და გერმანელების მიერ ოკუპირებულ ქალაქებსა და სოფლებში ფაშისტების მიერ ჩადენილ გაუგონარ მხეცობას.

ქარხნის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი, კომუნისტი მინა რაზმაძე სისტემატურად ატარებს აგიტატორებთან ლექციებს და აძლევს მათ მეთოდურ მითითებებს. აგიტატორები პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, წინასწარ გულმოდგინედ არჩევენ საგიტაციო მასალებს და სათანადოდ მომზადებული ცხადდებიან. მოწინავე აგიტატორები არიან: შ. ქლიბაძე, ბ. ლომთათიძე ა. მარჯანიშვილი, შ. გიორგაძე და სხვ. ეს ამხანაგები საგიტაციო საუბრებს მოხერხებულად უკავშირებენ ქარხნის ცხოვრებას და რაზმავენ მსმენელებს მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. ერთერთ მეცადინეობაზე აგიტატორებმა ქარხნის მუშებს გააცნეს სტალინის სახელობის თბილისის ვაგონსარემონტო ქარხნის ორასოვანთა მოწოდება, რის შედეგადაც ქარხანაში ორასოვანთა რიგები კიდევ უფრო გაიზარდა. ორასოვნებს ამშვენებს მრავალი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო ამხანაგი.

მარგანეცის საამქროს მუშა, ლითონის მრჩეველი ივანე სუმუხინი საწარმოო დავალებას 225 პროცენტით ასრულებს, პეტრე სლობოდიკანი—209 პროცენტით, შოფერი სერგო გურაბანიძე—217 პროცენტით, დურგალი აკაკი მაჩიტაძე—306 პროცენტით, ბრიგადირი ზეინკალი ალექსანდრე შეეცი—216 პროცენტით. ელექტროშემდუღებელმა პეტრე კულპოვმა 273 პროცენტით შეასრულა დავალება, ელექტროსაამქროს მუშებმა მიხეილ ნიქაბაძემ და მიხეილ ცქიტიშვილმა—240 პროცენტით.

ნ. ნასარიძე

საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომის XII პლენუმი

შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომის XII პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომის ანგარიში განვლილ მუშაობაზე და საორგანიზაციო საკითხი.

პირველ საკითხად პლენუმმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომის მდივნის ამხ. ბ. ნეფარიძის საანგარიშო მოხსენება.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ა. დუდუჩავამ, გ. კაჟთელაძემ, ვ. რატიანმა, პ. ქავთარაშვილმა, ფ. თამასხანოვმა, ე. შავლოხოვმა, ცომაიამ, დოლიაშვილმა და სხვ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი.

განხილული საკითხის ირგვლივ პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

შემდეგ პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხი.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობიდან განთავისუფლა ამხ. ბ. ნეფარიძე და გამოიყვანა იგი რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან.

საქ. კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. ვ. სუჯაშვილი.

ზ. დოლიაშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

გრიგოლ გედევანის-ძე ყიფშიძე, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2159767—კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის; ბესარიონ იოსების-ძე გოგატიშვილი, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1544799—სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და უნებართვოდ იარაღის ტარებისათვის; ფაშა ისაოღლი, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1940 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3077192—სისხლის სამართლის დანაშაულისათვის; გერონტი იაკინთეს-ძე ყიფიანი, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 4332896—სიყალბის ჩადენისა და კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის; ვლადიმერ ესტატეს-ძე ვარდანიძე, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1546030—კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის.

რაციონალიზაცია და გამომგონებლობა — სამშობლოს დაცვის სამსახურში!

რაციონალიზატორი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საელექტრომავლო საამქროს საპარატურო ბრიგადის ხელმძღვანელი, კომუნისტი ამხ. ვ. ბეჟუაშვილი საზეინკლო საქმის ოსტატია. მას რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება ეკუთვნის. ამხ. ბეჟუაშვილმა გააუმჯობესა ელექტრომავლებზე გოგორწყვილების მოუხსნელად დასაწნეხი ხელსაწყო. მისი წინადადებით გოგორწყვილების დაწნეხის დრო სამჯერ შემცირდა. ეს ქარხანას ათას მანეთობით ეკონომიას აძლევს.

ამხ. ბეჟუაშვილს აქვს მეორე წინადადებაც. იგი ძლიერ ამცირებს ფერადი ლითონების ხარჯვს და ქარხანას ათავისუფლებს შორეული ქარხნებიდან წითელი სპილენძის შემოტანისაგან. ეს წინადადებაც დიდძალ დანაზოგს აძლევს ქარხანას.

ამხ. ბეჟუაშვილი თავდადებული მუშაკია. იგი თავისი შემოქმედებითი შრომით ეხმარება გმირულ წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურებაში.

ა. აგლაძე

წარმოების ნოვატორები

თბილისის საელექტრომავლო დეპოს შესავალში გაკრულია პლაკატი წარწერით: „თემები გამომგონებელთათვის". აქ ნახავთ საკითხებს, რომლებიც სასწრაფოდ გადაჭრას მოითხოვენ, საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, ზოგავს ლითონს, ელექტროენერგიას, საწვავ-საცხებ მასალებს, აღადგენს ნახმარ, გამოუყენებელ მასალებს, დეტალებს.

დეპოს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები უდავოდ კარგად იქცევიან, როცა საკვანძო, აქტუალური საკითხები, დეპოს მუშაობის შედარებით „ვიწრო უბნები" მუშათა ტექნიკური აზრის წინაშე გამოაქვთ და ამით გზას აძლევენ რაციონალიზატორებს, გამომგონებლებს.

წარმოების ნოვატორებისადმი ასეთი მზრუნველობით და ხელისშეწყობით აიხსნება, რომ დეპოს კოლექტივის შემოქმედებითი აზრი ყოველთვის რაღაც ახალს ეძებს და პოულობს კიდეც. ეს განსაკუთრებით ითქმის ახლა, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში.

ელექტრომავლის კოლექტორებისა და ბანდაჟების გასაჩარხავად საჭიროა მოხსნა ისინი, სპეციალურ დაზგაზე გადაიტანო და ისე გაჩარხო. ამას დიდი დრო და ბევრი მუშა-ხელი სჭირდება და, რაც მთავარია, მოცდენილია ელექტრომავალი. მემანქანე ამხ. ბ. გამყრელიძემ ამასწინათ შემოიტანა წინადადება, რომელიც ელექტრომავლის ელექტროძრავების კოლექტორებისა და ბანდაჟების მოუხსნელად გაჩარხვას შეეხება. წინადადება განიხილა სპეციალისტთა ჯგუფმა. ამჟამად ეს წინადადება პრაქტიკული გამოცდის პროცესშია. იგი კარგ შედეგებს იძლევა. ამით დეპოს დიდძალი თანხა დაეზოგება.

ინჟინერ გ. სიხარულიძეს ეკუთვნის წინადადება ელექტრომავლის გოგორწყვილების არტახების სატრაქციო ხაზებზე მოძრაობის დროს გაჩარხვისა. ამხ. სიხარულიძის წინადადება ძალიან ადიდებს ელექტრომავლის გარბენის კოეფიციენტს და წლიურად დაახლოებით 50.000 მანეთის ეკონომიას იძლევა.

საქვეყნო სახელი მოიხვეჭა მემანქანე ამხ. ო. ლუგოვოიმ. მან ელექტრომავლის ბანდაჟებისათვის გამოიყენა შედუღებული კალაპოტები, რითაც ელექტრომავლის ურემონტოდ გარბენის საოცნებო მაჩვენებელს მიაღწია. მან თავისი მუშაობის მეთოდზე დასწერა ბროშურა „250.000 კილომეტრი ურემონტოდ". ამხ. ლუგოვოის ელექტრომავალს დღეისათვის ურემონტოდ უკვე 260.000 კილომეტრი აქვს გავლილი. იგი პირობას იძლევა, რომ ეს მაჩვენებელი 300.000 კილომეტრამდე აიყვანოს. ამხ. ლუგოვოის მეთოდი ფართოდ გავრცელდა. ბევრი მემანქანე მას პრაქტიკულად იყენებს. მემანქანე ამხ. გ. კოდუამ თავისი ელექტრომავალი ურემონტოდ 160.000 კილომეტრზე ატარა.

ნიჭიერ მემანქანე ამხ. ლუგოვოის მეორე წინადადებაც აქვს. მისი წინადადებით ელექტრომავლის წევის ძრავების ჯაგრისები სპეციალურ ხსნარში იხარშება, რაც ზრდის მათს გამძლეობას. უკვე მეორე თვეა ელექტრომავლები ასეთი ჯაგრისებით მოძრაობენ და ეს მეტად დეფიციტიური დეტალები თითქმის არ გაცვეთილა.

რამდენიმე ორიგინალური გამოგონება და წინადადება ეკუთვნის ახალგაზრდა ინჟინერს ამხ. ვ. მალალაშვილს. იგი სტუდენტობიდანვე იყო გატაცებული ტრანსპორტის მეტად მნიშვნელოვანი საკითხებით. მისი რამდენიმე გამოგონება ახლა დამუშავების პროცესშია. სპეციალისტები ამ გამოგონებებს დადებით შეფასებას აძლევენ.

თბილისის საელექტრომავლო დეპოს წარმოების ნოვატორები მეტად აქტუალურ საკითხებს სწყვეტენ. ისინი ტექნიკური პროგრესის მატარებელნი არიან. რაციონალიზატორები თავიანთი დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით სჭედენ ვერაგ და უტიფარ მტერზე გამარჯვებას.

პ. ჭიოკაძე

554 ათასი მანეთის ეკონომია

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში მრავალი რაციონალიზატორული წინადადება შემოაქვთ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მოწინავე ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს. 1 ივლისიდან სექტემბრამდე განხორციელებულია 10 მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც წლიურად 554.077 მანეთის ეკონომიას იძლევა. მარგანტრესტის ელექტროსადგურის მექანიკოსმა ვ. მიქაძემ შემოიტანა რაციონალიზატორული წინადადება დიზელის მრუდმხარ საკისრების ახალი წესით დამზადების შესახებ; ამ წინადადების განხორციელება 26.000 მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა წლიურად.

მარგანტრესტის საპროექტო ბიუროს გამგემ ახალგაზრდა ინჟინერმა ამხ. ქ. ფანცულაიამ წამოაყენა რაციონალიზატორული წინადადება რგანის საჰაერო საბაგირო გზის გადამტვირთავი სადგურის წინ საავარიო საწყობის მოწყობის შესახებ. საჰაერო გზის ეს ახალი მოწყობილობა ვაგონების ავტომატური დაცლის საშუალებას იძლევა და წლიურად 50.000 მანეთზე მეტ ეკონომიას გვაძლევს.

„პეროფის" ქარხნის გამგემ, ინჟინერმა ა. მოდებაძემ ამ დღეებში ორი მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენა. მათი განხორციელების შედეგად „გარცის" ტიპის დაზგები იძლევიან 45-პროცენტიანი მარგანეცის ნაცვლად — 83—85-პროცენტიან მარგანეცს. აქედან მიღებული წლიური ეკონომია 400.000 მანეთს აღემატება.

ვალ. ჩიქოვანი



ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საელექტრომავლო დეპოს სახელმოხვეჭილი ლუნინელი მემანქანე, რაციონალიზატორი ამხ. ო. ი. ლუგოვოი.



სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საელექტრომავლო საამქროს საპარატურო ბრიგადის ხელმძღვანელი, რაციონალიზატორი ამხ. ვ. ბეჟუაშვილი

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მემანქანეებს ორთქლმავლები კრივონოსულად დაჰყავთ

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები სამამულო ომის დღეებში არნახული თავდადებით მუშაობენ. მათ ორთქლმავლები კრივონოსული სისწრაფით დაჰყავთ, ზრდიან ტექნიკურ სიჩქარეს, არ იციან წუნი და ავარია, ზოგავენ საწვავ მასალებს. მათი თავდადება ახალი ძალით გამოვლინდა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ. ისინი წარმატებით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

კრივონოსელმა მემანქანემ კომუნისტმა ამხ. ვ. სხილაძემ 27 ოქტომბერს მატარებელი 17 წუთით ადრე მიიყვანა დანიშნულ ადგილზე, რამდენიმე კილომეტრით გაადიდა ტექნიკური სიჩქარე და მარტო ერთ დღეს 710 კილოგრამი საწვავი მასალა დაზოგა. მემანქანე ამხ. ი. სიხარულიძემ მატარებელი 35 წუთით ადრე მიიყვანა დანიშნულ სადგურში, დაწესებულ ტექნიკურ სიჩქარეს დიდად გადააჭარბა და 404 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია გააკეთა.

უწუნოდ და უავარიოდ დაჰყავთ ორთქლმავლები მემანქანეებს ამხ. ვლ. გუსევს და ილ. ტაბატაძეს. გარდა იმისა, რომ ორთქლმავლების გარბენის ტექნიკური სიჩქარე გაადიდეს, მათ მარტო ერთ რეისზე 500 კილოგრამამდე საწვავი მასალა დაზოგეს.

საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები სიტყვას იძლევიან, რომ მომავალშიც წარმატებით იმუშავებენ ფრონტის დასახმარებლად, ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებამ ახალი ორასოვნები გამოავლინა

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი ორასოვნები გამოავლინა.

სახარატო საამქრომ (უფროსი გ. ათაბეკოვი) 25 ოქტომბრისათვის შეასრულა სასწრაფო დავალების თვიური გეგმა. ამ დავალების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხარატებმა ამხ. კ. ვრანიაკმა, ლ. იუხნევიჩმა, ა. გეურქოვმა, ნ. ფუნდიკოვმა, ი. ვოსკანოვმა. ისინი დავალებას 200-300 პროცენტით ასრულებენ.

წარმატებით მუშაობს სათუნუქე საამქრო, რომელსაც ინჟინერი ქალი ამხ. ლ. ჯუღელი ხელმძღვანელობს. ზეინკლები ამხ. გ. ჩატაშვილი, ა. მუკაელიანი, ს. კვალიაშვილი, მ. ლისნიაკი, ე. ოგანეზოვი გეგმას 250-300 პროცენტით ასრულებენ. აღსანიშნავია ახალგაზრდა ზეინკლის ამხ. ბაღდასაროვის წარმატება. მან ახლახან დაამთავრა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა. სულ რაღაც ორი თვეა, რაც ქარხანაში მოვიდა, მაგრამ შესანიშნავად დაეუფლა საზეინკლო საქმეს. დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებს.

თავდადებულად მუშაობენ აგრეთვე ამწყობი საამქროს ზეინკლები ამხ. ხაჩატუროვი, მუხაშვილი, მელიქსედოვი, სადანე საამქროს ზეინკლები ამხ. მაქშანოვი, მალიუტინი, კადინი, ჯოხაძე. მათი გეგმის შესრულების მაჩვენებელი 250 პროცენტზე დაბლა არ ჩამოდის.

ქარხნის პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ერთი რამ უნდა ვუსაყვედუროთ. მოწინავე ბრიგადები, სტახანოველები გმირულად მუშაობენ, დავალებას ორმაგად და სამმაგად ასრულებენ, მაგრამ ამის აღრიცხვა მოუწესრიგებელია. ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

იზრდება ორასოვანთა რიგები

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). სამამულო ომის დაწყების შემდეგ ფეროშენადნობთა ქარხნის მექანიკურმა საამქრომ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. ივლისში, აგვისტოში და სექტემბერში საწარმოო გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულა.

გაიზარდა ორასოვანთა რიცხვიც. აგვისტოში საამქროს ჰყავდა მხოლოდ სამი ორასოვანი, სექტემბერში ორასოვანთა რიცხვი 21-მდე ავიდა, ხოლო ოქტომბერში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.

მექანიკური საამქროს ორასოვნებიდან აღსანიშნავია 65 წლის ხარატი მაქსიმე ციმბალი, რომელსაც წარმოებაში მუშაობის 35 წლის სტაჟი აქვს. იგი გეგმას ორმაგად და კიდევ მეტი გადაჭარბებით ასრულებს. მას ბევრი საქმიანი წინადადება ეკუთვნის, რომელთა განხორციელებით ქარხანას მნიშვნელოვანი ეკონომია აქვს. მან დიდი გაუმჯობესება შეიტანა ელექტროღუმელთა ყუბების დამუშავებაში, საკუთარი ძალით შესძლო პნევმატური ჩაქუჩის შეკეთება და სხვ.

ახალგაზრდა ხარატი ივ. კუპატაძე გეგმას 260 პროცენტით ასრულებს, მჭედელი გ. ფეიქრიშვილი—270 პროცენტით, ან. არლატენკოს ზეინკალთა ბრიგადა — 270 პროცენტით, ან. ბალიდას ზეინკალთა ბრიგადა—206 პროცენტით და სხვ.

500 და მეტი პროცენტით

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მოწინავე ხარატები, ზეინკლები, მრანდავები შრომითი გმირობის საუცხოო მაგალითებს იძლევიან. ისინი წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ 500 და მეტი პროცენტით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებას. სტახანოველმა ხარატმა ამხ. ა. ბაიახჩიანმა 25 ოქტომბერს 43 საათისა და 27 წუთის სამუშაო 8 საათში გააკეთა და დავალება 555,6 პროცენტით შეასრულა. სტახანოველმა მრანდავმა ამხ. გონჩაროვმა 8 საათში გააკეთა ისეთი სამუშაო, რომელიც 44 საათსა და 32 წუთს მოითხოვდა. მან ამ დღეს დავალება 556,6 პროცენტით შეასრულა. თავისი საქმის ცოდნით გამოირჩევა ზეინკალი ამხ. გრ. ჯანველოვი, ის დავალებას 500-600 პროცენტით ასრულებს. ასევე ითქმის ზეინკლებზე ამხ. გ. ბერიაშვილსა და ვ. კოვალიოვზე. წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას 500 და მეტი პროცენტით ასრულებენ აგრეთვე მრანდავი ამხ. პივენკო, ხარატები ამხ. სანაძე და კალუსოვსკი.

ჩაის მრეწველობის მუშაკთა წარმატება

საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკებმა სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნეს მუშაობა და მაღალ მაჩვენებლებსაც მიაღწიეს. სალიბაურის, ორთა-ბათუმის, ბობოყვათის, შრომის, მამათის, ლანჩხუთის, წულუკიძის, ზუგდიდისა და გალის ჩაის ფაბრიკებმა უკვე შეასრულეს წლიური გეგმა და გაანაღდეს წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

7 ნოემბრისათვის საქართველოს ჩაის მრეწველობის ტრესტს განზრახული აქვს ვადამდე შეასრულოს შავი ბაიხა ჩაის წლიური დავალება.

ავჭალის ჩაის საწონმა ფაბრიკამ მზა ჩაის სარეკორდო გამოშვებას მიაღწია — 24 ოქტომბრიდან იგი ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ჩაის ფაბრიკებში ყოველთვიურად მატულობს ორასოვანთა რიცხვი. ამჟამად 1.000-ზე მეტი სტახანოველი სისტემატურად 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებს ნორმას.

ფართოდ არის გაშლილი მრავალდაზგოსანთა მოძრაობა. ზუგდიდის ჩაის ფაბრიკაში 8 სტახანოველი 26 სხვადასხვა მანქანას უწევს მომსახურებას, აცანის ფაბრიკაში 7 სტახანოველი—16 მანქანას და სხვ.

საქართველოს ჩაის მრეწველობის წარჩინებულმა სტახანოველებმა: მარიამ ქილიფთარმა, ვასილისა პერევალოვამ, სტეფანია ნოზდრინამ, ფენია ზაიცევამ, იასონ ფიფიამ და სხვებმა დამატებითი ვალდებულებანი იკისრეს—ოქტომბრის XXIV წლისთავისათვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულონ არა მარტო თვითონ მათ, არამედ მთლიანად იმ ბრიგადებმაც, რომლებშიც ისინი მუშაობენ. (საქპრესი).

დ. ზავრიევი

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

გერმანიის ფაშიზმის ყველაზე სუსტი ადგილი

ფაშისტთა ჯარები შეტევაზე მოდიან. ჰიტლერმა აღმოსავლეთის ფრონტზე მოაყარა თავისი რეზერვები და დიდძალი საჭურველი. მტერი მოძვრება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გულისაკენ — მოსკოვისაკენ, ლენინგრადისა და დონბასისაკენ. ჩვენს ქვეყანას თავს დასტრიალებს სერიოზული საფრთხე.

სიკეთისაგან როდი მოსდის ფაშისტურ გერმანიას, რომ ამ შემოტევაში მან სასწორზე დასდო თავისი ბედიღბალი. ჰიტლერს ეშინია ზამთრის კამპანიისა, ხანგრძლივი და გაჭიანურებული ომისა და შინაპოლიტიკური გართულებებისა როგორც თვით გერმანიაში, ისე ოკუპირებულ ქვეყნებში. ფაშისტური გერმანიის ყველაზე სუსტი ადგილი სულ უფრო და უფრო მეტად მჟღავნდება.

პირველ მსოფლიო ომში ვილჰელმის გერმანიის დამარცხებამდე რამდენიმე თვით ადრე გერმანიის არმია კიდევ აღწევდა ხოლმე გამარჯვებას. 1918 წ. მარტსა და აპრილში ამიენზე შეტევის დროს ლუდენდორფმა 60 კილომეტრით წაიწია. აპრილში ლუდენდორფმა არმანტიერზე შეტევისას 12-15 კილომეტრით წაიწია და ხელთ იგდო მრავალი ტყვე და სამხედრო ალაფი. მაისსა და ივნისში ლუდენდორფმა დიდ ტაქტიკურ წარმატებას მიაღწია, ხელთ იგდო შმენ დე დამის ძლიერი პოზიციები, 60 კილომეტრით წაიწია, კვლავ გადალახა მდინარე მარნა და ახალი საფრთხე შეუქმნა პარიზს. ივლისში კი თავის მეოთხე და უკანასკნელ შეტევაში კომპიენის მიმართულებით გერმანელები დამარცხდნენ, 160 ათასი კაცი დაჰკარგეს და უკან დაიხიეს მდინარე ველს აქეთ. ორიოდე თვის შემდეგ ლუდენდორფი, მეფის კარის ეტიკეტისათვის გვერდის ავლით, წინასწარი მოხსენების წარუდგენლად შევარდა თავისი იმპერატორის ვილჰელმის კაბინეტში და მოსთხოვა ჩამოეგდო დროებითი ზავი არა უგვიანეს 48 საათის ვადისა. გერმანიის იმპერიალიზმმა მთელი თავისი ძალები და რეზერვები ამოსწურა.

„თავდაპირველად იგი,—ამბობდა ლენინი, — წარმოუდგენლად გაიბერა ევროპის სამ მეოთხედზე, გასივდა, შემდეგ კი იქვე გასკდა და უსაშინელესი სიმყრალე გამოუშვა". (ტომი XXIII, გვ. 266).

გერმანიის სამხედრო ისტორიკოსს გენერალ მარქსს, გერმანელი ახალგაზრდობის სამხედრო სწავლების ხელმძღვანელს გენერალ-ლეიტენანტ მეტჩს და სხვებს მიაჩნდათ, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების ძირითადი მიზეზი შიმშილი იყო. ამასთან ერთად ისინი გამოსთქვამდნენ შიშს, რომ ამავე მიზეზს საბედისწერო როლი არ ეთამაშნა გერმანიის მომავალ ომებში.

გენერალი მარქსი სამხედრო ჟურნალ „მილიტერ ვოხენბლატში" 1937 წ. 18 სექტემბერს სწერდა:

„მომავალ ომშიც, თუ გერმანელი ჯარისკაცი იშიმშილებს, თუ მტერს გადამწყვეტი უპირატესობა ექნება ეკონომიური, სამრეწველო და სასურსათო რესურსების მხრივ, გერმანიას ისეთივე კატასტროფა მოელის, როგორიც 1914-1918 წლების ომში".

გენერალი მეტჩი შეშფოთებით აცხადებდა:

„ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, რომლებსაც მსოფლიო ომის გამოცდილება გვაქვს, უნდა ვაღიაროთ, რომ ომები შეიძლება დამარცხებით დამთავრდეს შიმშილის გამო".

ლენინი ჯერ კიდევ 1915 წელს აღნიშნავდა ეკონომიური ფაქტორის უდიდეს მნიშვნელობას პირველი მსოფლიო ომის დამთავრებაში:

„...თუ გერმანია,—სწერდა ლენინი, — საუკეთესოდ მომზადებულია და ამჟამად ყველაზე ძლიერია, სამაგიეროდ ოთხთა შეთანხმებას (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი და იტალია) მოეპოვება მეტი ადამიანები და ფული, და გარდა ამისა იგი თავისუფლად ღებულობს სამხედრო საჭურველს მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნიდან — ამერიკის შეერთებული შტატებიდან". (ტომი XVIII, გვ. 182).

ლენინის ამ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა. გერმანიის მატერიალური გამოფიტვა სამხედრო-სტრატეგიული ნედლეულისა და ადამიანთა რესურსების მხრივ ფაშისტური გერმანიის ყველაზე სუსტი ადგილია. სწორედ ეს აიძულებს ჰიტლერს ეშინოდეს ზამთრის კამპანიისა, ხანგრძლივი და გაჭიანურებული ომისა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ფაშისტური გერმანიის ახლანდელი შემოტევა მოწმობს გერმანიის ფაშიზმის სისუსტეს და არა ძლიერებას.

სამხედრო ეკონომიკა გამოჰყოფს სამხედრო ნედლეულის 34 სახეს. როგორ არიან გერმანია და იტალია უზრუნველყოფილნი ნედლეულის ამ სახეებით?

საერთაშორისო ურთიერთობის ინგლისის სამეფო საზოგადოების ცნობებით, გერმანია თავისი შიდა რესურსების ხარჯზე სავსებით ან საგრძნობ წილად უზრუნველყოფილია მხოლოდ ორი სახის ნედლეულით (კალიუმი და ქვანახშირი), ნაწილობრივ ექვსი სახის ნედლეულით (რკინა, თუთია, გოგირდი, მაგნეზიტი, გრაფიტი და ხე-ტყე), ხოლო გადამწყვეტი ზომით დამოკიდებულია უცხოეთზე 26 სახის ნედლეულის მხრივ (მათ შორის ნავთი, კაუჩუკი, ფერადი ლითონები, ბამბა, მატყლი და სხვ.) კიდევ უარეს მდგომარეობაშია იტალია, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს გერმანიის სამხედრო ეკონომიკას.

ფაშისტური გერმანია ნავთის განსაკუთრებულ ნაკლებობას განიცდის. ყოველთვიური საჭიროება შეადგენს 2,5-3 მილიონ ტონას, თვეში შემოსდის—600-700 ათასი ტონა, მარაგი კი ილევა.

საბჭოთა კავშირთან ომამდე გერმანია უშვებდა 30 მილიონ ტონა ფოლადს, სსრ კავშირზე თავდასხმის შემდეგ ფოლადის საჭიროება მკვეთრად გაიზარდა, ის ქარხნები კი, რომლებიც ფოლადის მთელი წარმოების 75-მდე პროცენტს იძლევიან, ინგლისის ავიაციის დარტყმებს განიცდიან. გარდა ამისა, 30 მილიონი ტონა ფოლადის გამოსაშვებად საჭიროა 1,2 მილიონი ტონა მარგანეცი, გერმანიაში კი მარგანეცის მარაგი ილევა.

გერმანია დიდ სიძნელეებს განიცდის ფერადი ლითონების დარგში. ლითონის საჭიროება მოპოვების ხარჯზე კმაყოფილდება მხოლოდ 8,8 პროცენტით, ტყვიისა—31 პროცენტით, კალის მიღების ახალი წყაროები, გარდა არსებული მარაგისა, გერმანიას არა აქვს. მარაგი კი ილევა. გერმანია ამზადებს ერზაცებს (შემცვლელებს), მაგრამ ერზაცების წარმოებისათვის საჭიროა ალუმინი და მაგნიუმი, რომლებიც ისედაც არა ჰყოფნის გერმანიის საავიაციო და საავტომობილო მრეწველობას.

გერმანია განიცდის კაუჩუკის, ბამბის (საჭიროება—280 ათასი ტონა, მარაგი კი ილევა), ჯუტის, მცენარეული ზეთის, მატყლის და სხვ. განსაკუთრებულ ნაკლებობას. ერზაცების სახელწოდებათა რიცხვმა უკვე 30 ათასს გადააჭარბა, მათი დამზადებისათვის კი საჭიროა დამატებითი ნედლეული და მუშა-ხელი.

გერმანია უსასტიკესი ბლოკადის რკალშია, მაშინ როდესაც ანტიჰიტლერული კოალიციის სანედლეულო რესურსები და საწარმოო შესაძლებლობანი დაუშრეტელია. ასე, მაგალითად, ინგლისისა და სსრ კავშირის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე სამჯერ აღემატება ჰიტლერული კოალიციის მრეწველობას, ინგლისსა და სსრ კავშირს ხუთჯერ მეტი სასურსათო რესურსები აქვთ, ფოლადი—სამჯერ მეტი, ქვანახშირი—2,5-ჯერ მეტი, სპილენძი—15-ჯერ მეტი, ნავთი—30-ჯერ მეტი და ა. შ. გარდა ამისა, ანტიჰიტლერული კოალიციის არსენალს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები.

თავდაპირველად გერმანიას დიდი უპირატესობა ჰქონდა დროის მხრივ. მან უფრო ადრე აითვისა დიდი მასშტაბით თანამედროვე საბრძოლო საშუალებათა წარმოება, მან უფრო ადრე მიაღწია სამხედრო მრეწველობის უმაღლეს წერტილს. ახლა კი დრო ანტიჰიტლერული კოალიციის მოკავშირეა, დრო საშუალებას აძლევს ანტიჰიტლერულ კოალიციას გადააქციოს უდიდესი პოტენციური რესურსები რეალურ ღირებულებებად — ზარბაზნებად, ტანკებად, თვითმფრინავებად და სხვა სახის საჭურვლად.

თავისი შემოტევის დროს გერმანიამ დროებით დაკავებულ საბჭოთა ტერიტორიაზე ჰპოვა გადამწვარი მინდვრები და ფაბრიკა-ქარხნების ნანგრევები. გერმანია კი ეძებდა ნავთს, პურს და სხვ., გერმანიას ხელში ეჭირა უკრაინა 1918 წელს, მაშინ უფრო ადვილი იყო ამ ტერიტორიის ძარცვა. ახლა კი უკრაინაში გაიშალა მძლავრი პარტიზანული მოძრაობა, მაშინ ვილჰელმმა უკრაინაში დასვა თავისი დამქაში სკოროპადსკი, რომელიც ეხმარებოდა გერმანიას უკრაინის ძარცვაში. 1918 წელს გერმანიამ უკრაინიდან გაიტანა 75 მილიონი გირვანქა პური, მაგრამ ამ რაოდენობით უნდა გამოეკვებნა გერმანიის 66 მილიონი მოსახლეობა, ე. ი. თითო სულს 1¼ გირვანქა პური უწევდა. ახლა გერმანიამ უკრაინაში ჰპოვა გადამწვარი მინდვრები, ხოლო უნდა გამოჰკვებოს გერმანიის 80 მილიონი მოსახლეობა, თუნდაც მათხოვრული ულუფით უნდა უზრუნველჰყოს ოკუპირებული ქვეყნების 25 მილიონი მოსახლეობა და იტალიის 45 მილიონი მოსახლეობა. ამჟამად მოსახლეობის თვითეული სულის კვირეული ულუფა 50 პროცენტით ნაკლებია 1939 წლის ულუფაზე. გერმანიის ახალ საზღვრებში პირდაპირ შიმშილობს 18 მილიონზე მეტი კაცი.

ილევა გერმანიის ადამიანთა რესურსებიც. არმიაში მობილიზებულ მუშათა უდიდესი მასების კომპენსირება ფაშისტებმა მხოლოდ ნაწილობრივ შესძლეს 3 მილიონი სამხედრო ტყვის, იტალიელი მუშებისა და ოკუპირებული ქვეყნების მუშების ხარჯზე, ხოლო ამ უკანასკნელთა შორის საბოტაჟი და ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვება დღითიდღე მატულობს. სოფლად მამაკაცთა შრომა შეცვლილია ქალთა, მოხუცთა და ბავშვთა შრომით.

ილევა ადამიანთა რესურსები არმიის უდიდესი დანაკლისის შესავსებადაც. ამ ბოლო დროს გერმანიას აღმოსავლეთის ფრონტზე თოფქვეშ ჰყავდა 6 მილიონი კაცი და ოკუპირებულ ქვეყნებში 2 მილიონი. უფროს ასაკთა—50-დან 55 წლამდე ასაკის პირთა ხარჯზე გერმანიას შეუძლია ყოველწლიურად გამოიყვანოს 300-400 ათასი კაცი და ახალგაზრდობის გაწვევით—500 ათასი კაცი. აღმოსავლეთის ფრონტზე საშინელი დანაკლისის პირობებში რეზერვები სწრაფად ილევა და თუ დღეს ფაშისტებმა შესძლეს ფრონტზე ადამიანთა დიდი ძალების გამოყვანა, ხვალ დანაკლისის შევსება მათთვის შეუძლებელი იქნება.

დანაკლისი კი იზრდება. დასავლეთში ომის ორი წლის განმავლობაში გერმანიამ დაჰკარგა ნახევარ მილიონამდე კაცი და 9 ათასი თვითმფრინავი, ხოლო აღმოსავლეთში ომის სამი თვის განმავლობაში დანაკლისმა 3 მილიონ კაცს და 9 ათას თვითმფრინავს გადააჭარბა. ამჟამად გერმანიას საშინელი ზარალი მოსდის თავის შეტევაში მოსკოვზე, ლენინგრადზე, დონბასსა და როსტოვზე.

უაღრესად გართულდა შინაპოლიტიკური მდგომარეობაც გერმანიაში და ოკუპირებულ ქვეყნებში. ბისმარკი თავის დროზე ამბობდა: „ხიშტებით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, მხოლოდ ხიშტებზე ჯდომა კი არ შეიძლება". ფაშისტები ხიშტებზე სხედან ოკუპირებულ ქვეყნებში და თვით გერმანიაში. გერმანიაში სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმის: „ჩქარა უნდა მოვუღოთ ბოლო ომს, თორემ ომი ჩვენ მოგვიღებს ბოლოს".

გერმანიის მდგომარეობას ჰიტლერის საგარეო-პოლიტიკური გეგმების ჩაფუშვაც ართულებს. გერმანიას გაუცრუვდა იმის იმედი, რომ სათითაოდ დაამარცხებდა თავის მტრებს. სამი დემოკრატიული ქვეყნის მოსკოვის კონფერენციამ ცხადჰყო მათი სრული ერთსულოვნება და გადაწყვეტილება—იბრძოლონ ფაშიზმის სრულ განადგურებამდე.

ფაშისტური გერმანიის მატერიალური გამოფიტვა, ბლიცკრიგის იმედების ჩაშლა და ჰიტლერის საგარეო-პოლიტიკური გეგმების ჩაფუშვა აიძულებს ფაშისტებს იჩქარონ. გერმანია ანგარიშს არ უწევს დანაკლისს, ვინაიდან ფაშისტები უკვე ველარ შესძლებენ მოაწყონ ახალი შემოტევა, რომელმაც ახლა ზღვარულ ძალას მიაღწია. გაჭიანურებული და ხანგრძლივი ომი უპერსპექტივოა გერმანიისათვის.

ლენინი ამბობდა, რომ როდესაც სტრატეგიული მდგომარეობა მოითხოვს, წითელ არმიას შესაძლებლობა აქვს სივრცე წააგოს, რათა დრო მოიგოს. წითელმა არმიამ უკვე მოიგო დრო. ომი მეხუთე თვეა სწარმოებს. მტერი დღეს თუმცა ძალიან ძლიერია, მაგრამ იგი იფიტება და სუსტდება. მისი მდგომარეობა დღითიდღე უფრო და უფრო საძნელო გახდება.

ფაშისტური გერმანიის ყველაზე სუსტი ადგილი მჟღავნდება, მაგრამ გამარჯვება თავისთავად არ მოდის. იგი უნდა მოვიპოვოთ. ამისათვის საჭიროა ძალღონის დიდი დაძაბვა, დიდი ღონისძიებანი. უნდა მოვიშოროთ მრისხანე საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს მშვენიერ ქვეყანას. გაჩაღებულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. უნდა შევაკავოთ, შევაჩეროთ თავით ფეხამდე შეიარაღებული მტრის შემოტევა. ამისათვის ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება. მტერი სუსტდება. გერმანიის არმიის სულიერი სიმხნევე გატეხილია. ომის ყოველი ახალი დღე ფაშისტებს ახალ-ახალ საფრთხესა და სიძნელეს უქადის.

საქართველოს გმირული წარსულიდან

ᲨᲐᲚᲕᲐ-ᲨᲐᲕᲚᲔᲒᲝ

ქართველ ხალხს ჰყავს საყვარელი გმირი შალვა ანუ შავლეგო, რომელიც ხალხის გადმოცემით თურქებს ებრძოდა. საქართველოს მთასა და ბარში მასზე ლექსები შენახულა. კერძოდ კახეთში გავრცელებული იყო შალვა-შავლეგოს სიმღერა, რომელიც იმღერება ორპირად ფერხულის ხმაზე. ყოველი მუხლის (რვა მარცვლის) შემდეგ დასძახიან:

შავ-შავლეგო,
ლეგო,
ლეგო,
შავლეგო...

მაგალითად:

შალვა იყო ვაჟ-კაცი, შავლეგო,
შავ-შავლეგო,
ლეგო, ლეგო,
შავლეგო...

მოგვყავს „შავლეგოს" ორი ვარიანტი:

* * *

შავლეგო
და შე შავლეგო,
შავლეგო.
შავლეგ იყო კარგი ბიჭი,
შავლეგო,
კარგი, გორათ აგებული,
შავლეგო.
ჰყავ ბატონი მადრიელი,
შავლეგო.
ამხანაგი მოგებული,
შავლეგო.
შავლეგ ცხენსა მოაფრენდა
ვიწროსა და ავსა გზასა,
შავლეგს ცხენი წამოექცა
ნაკვალევსა გუთნისასა.
თავსა თურქი წამოადგა
გალესილი ალმასითა.
— დამკარ, თურქო, ნუ გებრალვი
თუ გული გაქვს მამაცისა."
დაჰკრა თურქმა, თავი მოსჭრა,
დაიკიდა უნაგირსა.
შავლეგს დედა მიტიროდა,
მიიშლიდა გიშრის თმასა:
ჩემი შავლეგის მომკვლელი
ჩქარა მიჩვენეთ წამზედა...
თუ იმას თავი არ მოვჭრა... და სხვ.

* * *

შალვა იყო ვაჟიკაცი,
ქამარ-ხანჯლით შეჭედილი.
შალვას ჰყვანდა კარგი ცხენი,
კოჭ-მაღალი, გავა-სქელი.
შალვა ცხენს მოაგდებდა
ვიწროსა და ავს ალაგსა,
შალვას ცხენი წამოექცა
ვიწროსა და ავს ალაგსა,
თავსა თურქი წამოადგა
ვიწროსა და ავს ალაგსა.
— დამკარ, თურქო, რასა ჰშიშობ,
თუ გული გაქვს მამაცისა!
დაჰკრა თურქმა, დასჭრა შალვა
თეძოსა და ავს ალაგსა.
დედას კაცი მოუვიდა:
შენი შავლეგ მოგიკლესა"!
შალვას დედა მოტიროდა,
მოიშლიდა გიშრის თმასა:
— ჩემსა შალვას რა მოჰკლავდა,
თუ არ იყო ბედისწერა?
ახ-ორასი მაგისთანა
ხორასნიდან ტყვე მოჰყავდა, —
არცა თოფო, არცა ხმალო,
სულ მათრახით გადმოჰყვანდა...
(დედა მოთქმით ტირის:).
შალვავ, შენი ყაწიმები
გულბადარაზე ვნახეო;
შავლეგ შენი თეთრი ჩოხა
შავად შეგიხამებია...
შავლეგო!

კიდევ შენახულა შალვაზე შემდეგი ლექსები:

* * *

დაიძრა დემურ ყაენი,
დაავდო ხორასანია,
წყალი არ ეყო სასმელად —
მტკვარი და ალაზანია,
ბალახი საძოვნელადა —
თრიალეთისა მთანია.
ავლაბრის ბაზარს ჩამოხდა,
ადგილი უებარია.
დასცა და დასცა კარავი,
სვეტი ოქროსი მყარია;
შიგ დაჯდა დემურ ყაენი,
რა ტურფა სანახავია.
ორი ბიჭი შეიკაზმა —
შალვა, ივანე ძმანია.
წავიდენ, გადაიარეს
ის ურჯულოთი მთანია.
შალვას ცხენი წამოექცა
ვიწრო სავლელი გზანია.
სამი ქურთი ზედ მიადგა,
სამნივ ძალიან მთვრალია.
— დაჰკა, ქურთო, ნუ გებრალვი,
თუ გული გქონდეს ავია...

* * *

შალვა შურისა მძებნელი
მთას ქორებულად ჰკიოდა,
მე მონადირე მეგონა,
მას თურმე გული სტკიოდა,
წაიგდეს ვიწრო ხევშია,
მთაბარი სუ ზედ ხვიოდა,
გულს ერჭვა თეთრი ისარი,
კილოზე სისხლი სდიოდა,
თავის თავს არა სჯავრობდა,
თავისს სწორებსა სჩიოდა,
ორასი თურქის მომკვლელი
უომრობასა სჩიოდა...

* * *

ჩვენს მწერლობაში გმირი შალვა-შავლეგოს ვინაობა დღემდის ჯერ საკითხადაც კი არ არის აღძრული, არა თუ გამორკვეული. ამიტომ ნებას მივცემ ჩემს თავს ორიოდე სიტყვა ვთქვა შალვა-შავლეგოს განმარტებისათვის.

უნდა პირველად კანვაცხადოთ, რომ შალვა-შავლეგოს თქმულების საფუძველი ნამდვილი ისტორიული ფაქტია, დამოწმებული ჩვენი უძველესი საისტორიო ძეგლის „ქართლის ცხოვრების" მიერ. იგი სავსებით ესაბამება ისტორიის მონაცემს, განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქას. ამ თქმულებას შვიდასი წლის სიცოცხლე აქვს და მივყევართ ბრწყინვალე თამარის მეფობამდე.

ვინ არის სახელოვანი გმირი შალვა, რომელსაც ძმა ჰყავს ივანე, რომელიც ძმასთან ერთად დიდ ომში ებრძვის ყაენს, თურქებს, რომელსაც ბრძოლაში ცხენი წამოექცა და მტრისაგან შეპყრობილი ტრაგიკულად ასრულებს სიცოცხლეს.

თუ „ქართლის ცხოვრებას" გადავხედავთ, საეჭვო არ იქნება დავასკვნათ, რომ შავლეგოს თქმულებაში ხალხის ხსოვნას შეუნახავს მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის გმირი შალვა ახალციხელი და მისი ძმა ივანე, რომელთაც თავისი ძველი გმირობით ადიდეს თამარის მეფობა.

* * *

შალვა და მისი ძმა ივანე თორის ხეობის ფეოდალები იყვნენ, და თორელებად იწოდებოდნენ, მაგრამ პირადი ღვაწლისათვის თამარ მეფემ მათ ახალციხე უბოძა და ამის შემდეგ ახალციხელებად იხსენიებოდნენ (ივანე პირველი ათაბაგი იყო. მის შემდეგ ათაბაგობა ახალციხელების გვარის სამკვიდრო უფლებად გადაიქცა გიორგი ბრწყინვალის დროს და თვით სამცხეს საათაბაგო ეწოდა).

განსაკუთრებით განთქმული იყო შალვა „მხნე და ძლიერი რაინდობით და შეილდოსნობით", შეყვარებული არა მარტო მეფისგან, რომელმაც მანდატურთუხუცესობა უბოძა, არამედ ყველას მიერ, „ყოველთა თანა".

შალვას და ივანეს ასეთი ამაღლება მათი პირადი ვაჟკაცობით და სამხედრო დამსახურებით იყო გამოწვეული. „ქართლის ცხოვრების" გადმოცემით, „შალვა და ივანე, სახელოვანნი იგი მებრძოლნი, ახოვან იყვნენ და წყობათა შინა სახელოვანნი".

საქართველოს სალაშქრო ტრადიციით, ყოველს ლაშქრობაში მეწინავედ ანუ „წინა-მბრძოლად" (ავანგარდი) მუდამ იყვნენ თორელნი და ახალციხელნი. მრიგად, შალვა და ივანე თამარის ჯარის წინამებრძოლები იყვნენ, და თამარის მეფობაში არ ყოფილა თითქმის არცერთი სახელოვანი ბრძოლა, რომ ქართველი მხედრობის ავანგარდში შალვა და ივანე არა ყოფილიყვნენ. „ქართლის ცხოვრებაც" არაერთხელ აღნიშნავს მათს წინამბრძოლობას. ცხადია, საქართველოს მხედრობის მეწინავე მებრძოლებად ყოფნა, ისიც თამარის ხანაში, დიდ ვაჟკაცობას მოითხოვდა და შალვა და ივანეც ამ სახელწოდების ზედმიწევნით ღირსნიც ყოფილან, როგორც გამოჩენილი ვაჟკაცნი.

* * *

1195 წელს, საქართველოს ყმადნაფიც ერანის აზერბაიჯანის დაცვისათვის მომხდარს დიდს შამქორის ომში, რომელშიც მონაწილეობდა თითქმის მთელი აღმოსავლეთ ქვეყნების მაჰმადიანობა, შალვამ და ივანემ, როგორც წინამბრძოლებმა, დიდი გმირობა გამოიჩინეს. შალვამ შამქორის ომიდან თამარს მოართვა საკუთარი ხელით წართმეული მაჰმადიანთა ხალიფის დროშა, რომელიც ხალიფამ თავის ურდოებს უწინამძღვრა, როგორც უძლეველობის ნიშანი („დროშა, რომლისა თავსა იყო ოქრო ათასისა ხალიფაურისა").

1207 წელს, როდესაც რუმის სულტანმა რუკნადინმა მეზობელ მაჰმადიან მფლობელებთან ერთად გაბედა საქართველოზე წამოსვლა 400 ათასი ჯარით, თამარმა ზაქარია ამირსპასალართან ერთად წინამბრძოლებად დანიშნა „ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე". სასტიკ კვეთებაში შალვას და ივანეს ცხენები მოუკლეს და ქვეითად დარჩენილებმა გასწირეს თავი სასიკვდილოდ. მტერი დამარცხდა. იგი ისე გარბოდა, თითქოს თვალგადუწვდომელი ტყე მიწითურ მოგლეჯილიყოს. ერთი საბლით ერთი ქართველი მხედარი ოც ტყვეს ჰკრავდაო. ასე ამბობს მნახველი. ამ ომში, რომელსაც ბოლოსტიკეს ომი ეწოდება, ორთავ ძმამ სახელოვანი გმირობა გადაიხადეს.

ხოლო ამაზე ადრე, შალვას და ივანეს დიდი მონაწილეობით, თამარმა დაიპყრო ქ. კარი, რომელიც ამიერიდან საქართველოს სამეფოს მშვიდობიანობას უზრუნველჰყოფდა სამხრეთიდან. 1206 წ. ქ. კარი საქართველოს ფარგლებში შევიდა.

* * *

1213 წელს გარდაიცვალა თამარი და „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა". მალე გამოჩნდნენ მონღოლებიც, რომელთაც რისხვა დაატეხეს ქვეყანას. მრავალ მოწინააღმდეგესთან ერთად მათ გააქციეს ხვარაზმის შაჰი ჯალალედინი, რომელმაც ერანში დაიწყო გამაგრება და თავი მაჰმადიანთა მეთაურად გამოაცხადა. ჯალალედინმა საქართველოს დამორჩილება მოსთხოვა და 1225 წელს 140 ათასიანი ჯარით საქართველოს საზღვრების რბევა დაიწყო. ქართველი მხედრობა მას გარნისის მთებზე შეხვდა (გარნისი სომხეთშია). ჯალალედინმა დაასწრო ქართველებს და სასტიკი ომი გაიმართა. ქართველ წინამბრძოლებად ისევ შალვა და ივანე ახალციხელები იყვნენ. პირველ მისვლაზევე მათ შეიტყეს, რომ მრავალრიცხოვან მტერს ვერას დააკლებდნენ, ამისთვის მაშინვე მოშველება სთხოვეს ამირ-სპასალარს ივანე მხარგრძელს, რომელიც საქართველოს მთავარი ძალებით იდგა მოშორებით. ივანე ათაბაგმა ფეხიც არ მოიცვალა. საქართველოს მხედართმთავარს დიდიხნის შური ჰქონდა ორივე ძმისა მათი ვაჟკაცობისთვის, და ახლა იპოვა დრო. ახალციხელებმა მეორედ და მესამედ მოსთხოვეს შველა, მაგრამ ივანე ათაბაგმა არაფერი უპასუხა. მაშინ გმირებმა ითაკილეს უკან დახევა, აღარ მოერიდნენ ხვარაზმელების სიმრავლეს და თავგანწირვით მიეტევნენ.

გაგრძელდა სასტიკი ომი. შენახულა ამ ბრძოლის აღწერილობის ერთი ნაწყვეტი:

შალვა ჩამოხდა შავსა გრილოსა...
ომი მოგვიხდა, ომი, რა ომი!
ლეშის ნაკუწი ხორათ დგებოდა,
სისხლის ნაღვარი ცას ერეოდა,
შუბის ნამტვრევი ცასა ჰხედებოდა..

საქართველოს ლაშქარი ხედავდა თანამოძმეთა დაღუპვას უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ივანე ათაბაგის ბრძანებით ადგილიდან არ იძვროდა და შორიდან უყურებდა გმირთა თავგანწირვას.

შალვას და ივანეს ცხენები მოუკლეს. გალომებული გმირები ქვეითად იბრძოდნენ. გულადობით მტერი გააკვირვეს, მაგრამ თვითონაც ბევრი დაჰკარგეს. როცა ომი შენივთდა, შალვას და ივანეს ხმლები დაემსხვრათ მტრის ჩაბალახებზე, შუბები დაელეწათ მტრის ჩაფხუტებსა და მუზარადებზე, ყოველი საჭურველი შეემუსრათ. მაშინ ივანე, გარნისის კლდეებში შეჭეწილი, მტერმა ჩააქვავა, შალვა კი შეპყრობილ იქნა მრავალრიცხოვანი მტრის მიერ.

ხალხურ ეპოსს დაწერილებით შეუნახავს შალვას შეპყრობის ამბავი: „შალვას ცხენი წამოექცა, ვიწროსა და ავს ალაგსა", „შალვას ცხენი წამოექცა ნაკვალევსა გუთნისასა", რის შემდეგ შალვა „წაიგდეს ვიწრო ხევშია". შეპყრობილი შალვა ჯალალედინს წარუდგინეს. სულტანი მოხიბლა შალვას ვაჟკაცობამ და ახოვანებამ. ჯერ დიდი პატივით მიიღო, მაგრამ მერე მწარე სატანჯველით მოკლა.

შალვას შეპყრობის შემდეგ მეწინავეთა გადარჩენილი ნაწილი გამოიქცა. უბრძოლველად დაიხია უკან ივანე ათაბაგმაც. მტერმა თამარისეული თბილისი დაამხო და ნაცარტუტად აქცია. ეს იყო საქართველოს პირველი აკლება თამარის დიდების შემდეგ.

* * *

სამწუხაროდ, შალვას თქმულებიდან, რომელიც ძალიან მიაგავს ფრანგთა საშუალო საუკუნეების ეპიურ პოემას „სიმღერა როლანდზე" — ზემო ნაწყვეტების მეტს ჩვენამდე არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში მეტი ჯერ ჩაწერილი არ არის.

ეს ორიოდე ნაწყვეტიც შალვა-შავლეგოს შესახებ, ჩემის აზრით, ჩვენამდე სრულად ვერ მოღწეულს შალვა-შავლეგოს ძველ-ქართულ სარაინდო ეპიური ციკლის ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდეს. შალვას თქმულება მხედრულ წრეში უნდა იყოს აღმოცენებული. „შავლეგოს" ფერხული, ჩემის აზრით, უსათუოდ ჯერ ლაშქარში სრულდებოდა დიდებული გმირი მხედრის შალვა ახალციხელის ხსოვნის პატივსაცემად, შემდეგ კი ხალხში გადასულა.

რაკი შალვას თქმულებას 700 წლის ისტორია აქვს, ხოლო 700 წელი ზეპირთქმულების შესანახად, გარეშე დამწერლობისა, პატარა დრო არ არის, ამიტომ თვით შემონახული ვარიანტების ფრაგმენტებიც ჩვენამდე პირვანდელი სახით არ უნდა იყოს მოღწეული. ჩვენ მიერ მოყვანილი ნაწყვეტების მიხედვით უნდა ითქვას, რომ შენახულა მხოლოდ თქმულების რიტმი, სიუჟეტი, ხოლო პირვანდელი პოეტური ტექსტი ძალზე შემღვრეული უნდა იყოს. უძველესი ეპიური მოტივი შემდეგ საუკუნეებში ახალ-ახალად შელექსილი უნდა იყვეს, ახალწარმოებული, შიგ გვიანდელი ელემენტების ჩართვით და აღრევით (მაგ., ჯალალედინ სულტნის მაგიერ ჩვენს ნაწყვეტებში იხსენიება „დემურ-ყაენი", ე. ი. თემურლენგი—მე-14 საუკ.; „გულბადარაც" იმ დროისთვის ანაქრონიზმია ისევე, როგორც ჩვენი ტექსტის ზოგი ყოფითი ელემენტები).

მაგრამ რაც ჩვენთვის ამჟამად მთავარია, ქართველი ხალხის ხსოვნას 700 წლის განმავლობაში შემოუნახავს სახელი თავისი დიდებული გმირისა, რომელიც იყო სამშობლოს ვაჟკაცური რაინდი, გულსრული მებრძოლი, მაგრამ ღალატით იარაღდალეწილი და შურით გაყიდული.

რა უნდა ყოფილიყო მიზანი „შავლეგოს" თქმულების შექმნისა და მიზეზი მისი ამდენხნით შენახვისა? რატომ განსაკუთრებით უყვარს ხალხს შალვა-შავლეგო? სახელგანთქმული გმირი სხვაც არა-ერთი ჰყოლია საქართველოს როგორც თამარის დროს, ისე შემდეგ საუკუნეებშიც, მაგრამ სჩანს, რომ დიდი ფეოდალი, დიდი ხელისუფალი — მანდატურთუხუცესი, სარდალი შალვა ახალციხელი თავისი ადამიანური თვისებებით და რაინდული ზნეობით ხალხთან, მხედრულ მასებთან ყოფილა დაახლოებული, ხალხის გმირი ყოფილა, „კარგი ბიჭი იყო", არა მარტო იმიტომ, რომ ის ახოვანი იყო, „კარგი, გორათ აგებული", ფიზიკური ძალღონით დაჯილდოებული, „ორასი თურქის მომკვლელი", რომ „კიდევ უომრობასა სჩიოდა", არამედ უმთავრესად იმიტომაც, რომ შალვა ახალციხელი იყო ნამდვილი რაინდი ხალხის გაგებით, რომ მას „ჰყავდა ამხანაგი მოგებული" და როდესაც შალვას გულთ ისარი ერჭო და მისი მკერდიდან გადმოდენილი სისხლი ისრის კილოს ჰღებავდა, მაშინ:

თავის თავს არა სჯავრობდა,
თავის სწორებსა სჩიოდა!

ე. ი. იმ თანამებრძოლ თორელებს, რომელნიც ივანე ათაბაგის ღალატით ამოსწყდნენ 1225 წ. გარნისის უთანასწორო ბრძოლაში.

შალვასადმი ხალხის სიმპატია კიდევ იმ ფაქტმა გაზარდა, რომ გმირი დაიღუპა ღალატით, რომ შალვას უღალატა ქართული სარდლობის ოლიგარხიამ, რომლის ხელშეწყობით დამარცხდა თამარისეული საქართველო და ამ ღალატის გამო ქართველი მხედრობის მასებმა, ოპოზიციურად განწყობილმა ხალხმა დაბნეულ და უინიციატივო ოლიგარხიისადმი თავისი გულისწყრომა გამოსთქვა, და მით მოახდინა შალვას დამარცხების ჰეროიზაცია.

ამიტომ გასძლო „შავლეგოს" შვიდასწლოვანმა ფერხულ-სიმღერამ.

ასე ცოცხლობენ გმირები...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲔᲑᲘ

ოპერა „ქეთო და კოტე"-ს ავტორმა, კომპოზიტორმა ა. ანდრიაშვილმა დასწერა ახალი ლირიკული ოპერა „ნაპრალი". ლიბრეტო დამუშავებულია თვით კომპოზიტორის მიერ. ოპერაში მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია ცნობილი ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი (ლიბრეტო მწერალ ა. ქუთათელის ნოველის „აბესალომ და ეთერის" თავისუფალ ვარიაციას წარმოადგენს).

„ნაპრალის" შინაარსი მოკლედ ასეთია:

ერთხელ ვანო სარაჯიშვილი თავის მეგობარ სანდროსთან (ინაშვილი) ერთად სანადიროდ ეწვია მთიულეთს. აქ იგი შეხვდება ცქრიალა გოგონა ეთერს, რომელსაც ლამაზი ხმა აღმოაჩნდება. ვანო ურჩევს ეთერის მამას ზაქარას გაგზავნოს ქალი სასწავლოდ ქალაქს.

ეთერი უყვარს მთიელ ჭაბუკ ექოს. მას იჭვი შეიპყრობს და მეგობარ ლექსოსთან ერთად დააპირებს ანგარიში გაუსწოროს ვანოს. შეტაკების დროს ექო ხელს შეაჭრის თავისავე სატევარს. ამ წუთიდან ვანო მის მოსისხლე მტრად გადაიქცა. მთიულეთიდან დაბრუნებისას ექო გზაზე დაუხვდება ვანოს და შესძახებს:

სისხლი დაღვარე შენ ჩემი,
განა ეს მოსათმენია?
წახვიდე, სისხლი წაიღო,
მე რა სახელი მრჩენია!...

შემოვარდება ზაქარა ორი სოფლელით და მოჩხუბართ გააშველებს. შეტაკების დროს ვანო თითში დაიჭრება. ექო დამშვიდდა, სისხლი აღებულად ჩასთვალა და ვანოს დაუძმობილდა.

ეთერი და ექო თბილისში არიან. სპექტაკლის შემდეგ მრავალ თაყვანისმცემელთან ერთად საოპერო თეატრის შესავალთან ვანო სარაჯიშვილის გამოსვლას ელოდებიან. ვანო შენიშნავს ეთერს და ექოს, ორივეს მხურვალედ ჩამოართმევს ხელს. ამ დღიდან ვანოსა და ეთერს შორის სიყვარულმა დაისადგურა. ვანო მფარველობს ახალგაზრდა მეგობარს, რომელიც საუცხოოდ დაეუფლა სიმღერის ხელოვნებას. ექო მიხვდა, რომ ვეღარ დაიბრუნებდა ეთერს და ხანჯლით თავი მოიკლა.

„ნაპრალის" გარდა უკვე მთლიანად დაწერილია კომპოზიტორ ი. გოკიელის ოპერა „გელა" ა. წერეთლის „პატარა კახის" მიხედვით (ლიბრეტო შ. დადიანის და შ. ალხაზიშვილის). ორთავე ეს ოპერა გასინჯული იქნება ოპერის სახელმწიფო თეატრში საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების მონაწილეობით ნოემბრის შუა რიცხვებში.

გარდა ჩამოთვლილი ავტორებისა, ვ. კურტიდი მუშაობს ოპერაზე „ელეონორა" ა. ყაზბეგის მიხედვით (ლიბრეტო პ. გელეიშვილისა), კერესელიძე—„ბაში აჩუკი" აკ. წერეთლის მიხედვით (ლიბრეტო შ. ჯაფარიძის და პ. გელეიშვილისა), ა. მაჭავარიანი—„ქართლის დედა" ი. ჭავჭავაძის მიხედვით, ცაგარეიშვილი—„ნათელა" ა. წერეთლის მიხედვით (ლიბრეტო გ. ფრონისპირელისა).

ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

4 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ქალაქის სააგიტაციო პუნქტის სალექციო დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. ჩქოლარიას ჯგუფური კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: „როგორ მოვაწყოთ პირველი სამედიცინო დახმარება".

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

3 ნოემბერს, საღამოს 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის რაიაგიტპუნქტის დარბაზში (ლენინის ქ. № 11) შესდგება აკადემიკოს გ. ხაჭაპურიძის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „რუსი ხალხის 1812 წლის სამამულო ომი".

ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2858918, გაცემული აკოფ ეგორის-ძე ზარიევის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათები № 2863385, გაცემული სტეფანე გიორგის-ძე ხატიაშვილის სახელზე, და № 1673673, გაცემული ისაკო ვასილის-ძე ჯავაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ქვემო-სვანეთის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 3080911, გაცემული აკაკი თედორეს-ძე ლეშკაშელის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

2 ნოემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე შესდგება საინტერესო ამხანაგური მატჩი. ითამაშებენ თბილისის „დინამოს" ოსტატთა საჩვენებელი გუნდი (ძირითადი შემადგენლობა) და თბილისის „ლოკომოტივის" ახლად ჩამოყალიბებული ოსტატთა საჩვენებელი გუნდი, რომელშიც არიან: დოროხოვი, კინწურეიშვილი, ჰუმბურიძე, ჰელიძე, ვორონოვი, ჯორბენაძე, ჯეჯელავა, სიხარულიძე, ლოლაძე, ჩახუნაშვილი და აფრიდონიძე.

დასაწყისი 4 საათზე.

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

2 ნოემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყება თბილისის საშუალო სკოლების უფროსკლასელთა თავდაცვითი შეჯიბრება თბილისის პირველობაზე. შეჯიბრების პროგრამაშია რბენა, დაბრკოლებათა ზოლის დაძლევა და ხელყუმბარის ტყორცნა.

დასაწყისი დილის 9 საათზე.

ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტი შეუდგა სათხილამურო სეზონისათვის მზადებას. მიმდინარე სეზონში მთავარი ყურადღება მიექცევა ახალგაზრდობის მასობრივ სამხედრო-სათხილამურო მომზადებას. უკვე შემუშავებულია სათანადო პროგრამა.

ამჟამად სწარმოებს ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზის შეკეთება. აქ, წრთვნისათვის და სათხილამურო სპორტის დასაუფლებლად ჩამოვლენ თბილისისა და ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები და ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტები.

საქართველოს თოვლიან რაიონებში იმუშავებენ სამთო-სათხილამურო სპორტის ინსტრუქტორები და მწრთვნელები, რომლებიც საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლებაში ჩაბმულებს შეასწავლიან თხილამურით სიარულს და მის გამოყენებას საბრძოლო პირობებში.

„გაიდარი" მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. სურათზე: მსახიობები როლებში. ზედა რიგში—ა. ყიასაშვილი (გაიდარი), ვ. არეშიძე (იანკო), ი. ნინუა (ბაბუა); ქვედა რიგში—მ. ციციშვილი (ვოლოდარი), ნ. სიხარულიძე (ვანდა), ფ. მაჩაიძე (ფაშისტი კაპიტანი).

ფოტო რ. აკოფოვისა

„ᲒᲐᲘᲓᲐᲠᲘ"

ᲛᲝᲖᲐᲠᲓ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ა. კაჭკაჭიშვილის ახალი პიესა „გაიდარი" სამამულო ომის თემაზეა დაწერილი. ავტორი ომის პირველ დღეებს აგვიწერს და გვიჩვენებს საბჭოთა მოქალაქეების უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, მათს თავგანწირულ ბრძოლას ვერაგი თავდამსხმელების წინააღმდეგ, ფაშისტების მხეცობას. მიუხედავად იმისა, რომ პიესას, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, აქვს ნაკლოვანებანი (მოქმედი პირნი ერთნაირად ლაპარაკობენ, სახეები მკვეთრად არ არის მოხაზული), იგი მდიდარ მასალას აძლევს თეატრს საინტერესო სპექტაკლის შესაქმნელად.

პიესა დასდგა ა. თაყაიშვილმა, მხატვრობა ეკუთვნის ნ. ყაზბეგს, მუსიკა—ვ. კურტიდის. მთავარ როლებს ასრულებენ: ა. ყიასაშვილი (გაიდარი), ი. ნინუა (ბაბუა), ნ. სიხარულიძე (ვანდა), მ. ციციშვილი (ვოლოდარი), ვ. არეშიძე (იანკო), გ. კუპრაშვილი (ზიუკა), ვ. ძაგნიძე (I კოლმეურნე), ვ. მაჩაიძე (ფაშისტი კაპიტანი), დ. კობახიძე (ფაშისტი პოლკოვნიკი), კ. ხუნდაძე (ექიმი), შ. ჩხიკვაძე (I მოხუცი), დ. ცხაკაია (II მოხუცი) და სხვ.

სპექტაკლი კარგად არის შეკრული. მხატვრული გაფორმება დამაკმაყოფილებელია, მუსიკა ბელორუსულ ხალხურ ჰანგებზეა აგებული, მელოდიური და სასიამოვნო მოსასმენია.

სპექტაკლის წამყვანია გაიდარის როლი. ა. ყიასაშვილი ზოგიერთ შემთხვევაში გადამეტებულ დრამატიზმს მიმართავს (I სურათი), შვილებთან დამოკიდებულებაშიც რომ მეტი სითბო ჰქონდეს, მისი გაიდარი უფრო სრულქმნილი იქნებოდა. გადამეტებული დრამატიზმი ახასიათებს ვ. არეშიძესაც, ისე როგორც ნ. სიხარულიძეს—ერთგვარი სიცივე შვილთან გამოთხოვებისას. კოლორიტული სახე შექმნა ი. ნინუამ. ძირითადად დასი მოცემულ მასალას კარგად იყენებს, მსახიობთა მიერ შექმნილი სახეების ნაწილობრივი სქემატურობა პიესიდანვე გამომდინარეობს.

მაგრამ ყველა ამ ნაკლს ფარავს თემის აქტუალობა. ნორჩი მაყურებელი დაძაბული ინტერესით ადევნებს თვალყურს მამაცი საბჭოთა პატრიოტებისა და გამხეცებული ფაშისტების ბრძოლის პერიპეტიებს. ყოველ შეტაკებას დარბაზი ცხოვლად ეხმაურება. ბავშვები გატაცებით მისჩერებიან სცენას და ფაშისტების ყოველ გამოჩენას ხვდებიან შეძახილით პარტიზანებისადმი: „დაჰკა, არ გაუშვა!" და როცა პარტიზანი იანკო ფაშისტ კაპიტანს ჩაამალლებს, დარბაზს ტაშის ქუხილიავსებს. აქედან სჩანს, რომ თეატრი მიზანს აღწევს. სარეცენზიო სპექტაკლს მოზრდილი მაყურებელიც სიამოვნებით ნახავს.

ᲒᲠ. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ

საქართველოს კომპოზიტორებმა დიდი შემოქმედებითი მუშაობა გაშალეს თავდაცვის თემაზე ახალ სიმფონიურ ნაწარმოებთა შესაქმნელად. კომპოზიტორი ა. მელიტონ-უხუცესი სწერს მეხუთე „სამხედრო" სიმფონიას, შ. აზმაიფარაშვილი — სიმფონიურ პოემას, ნ. ნარიმანიძე — ორატორიას, დ. სლიანოვა—ვოკალურ-სიმფონიურ ნაწარმოებს „წინ", თ. შავერზაშვილი—მარშს სიმფონიური ორკესტრისათვის.

შ. თაქთაქიშვილმა დასწერა სიმღერათა ციკლი ვ. გაბესკირიას ლექსებზე—„საბჭოთა მზევრავი", ლ. კრუტიკოვმა—ციკლი სიმღერებისა „ომის დღეებში", შ. მშველიძემ—სიმფონიური სურათი თავდაცვით თემაზე.

ო. ბარამიშვილი სწერს სიმფონიურ პოემას მ. გორკის „გრიგალას" მიხედვით, დ. არაყიშვილი ამთავრებს თავის მეორე სიმფონიას, სიმფონიურ ნაწარმოებზე მუშაობს აგრეთვე ბ. ავეტისოვი.

„ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ" № 10

დაიბეჭდა და გამოვიდა ჟურნალი „მნათობი" № 10, რომელშიც მოთავსებულია შემდეგი მასალები:

კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი (რომანი. გაგრძელება); გიორგი კაჭახიძე—სამამულო ომში დაღუპულ გმირებისადმი (ლექსი); სოლომონ თავაძე — უკანასკნელი და გადამწყვეტი (რომანი); კალე ბობოხიძე — მამულიშვილნი (ლექსი); თეიმურაზ ჯანგულაშვილი—სამშობლოსათვის (ლექსი); კლიმენტი გოგიავა — ღრუბლებში (მოთხრობა, დასასრული); პ. ოსიპოვი—დავიზიის უფროსი კიკვიძე (დასასრული); გიუ დე მოპასანი — დედაბერი სოვაჟი (თარგმანი თედო სახოკიასი); კონსტანტინე გამსახურდია—ფაშიზმი მსოფლიო კულტურის მტერია (წერილი); ზ. ედილი—საინგილო (ეთნოგრაფიული ნარკვევი, გაგრძელება).

ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია: პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი— „პაატა გუგუშვილი, „კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში"; შალვა გოზალიშვილი—„ბიბლიოგრაფიული ცნობარი — იაკობ გოგებაშვილი"; გ. მეგრელიშვილი — „ბ. გლიაძერი, „წიგნზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მუშაობის შესახებ"; ფაროსანი — „სერგო გერსამია, „მაკო საფაროვ-აბაშიძისა".

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახ.—„მხიარული ახალგაზრდობა", ოქტომბერი — „სიმღერა სიყვარულზე", ლუქსემბურგის სახ. — „მეორე", სპარტაკი — „ქაჯანა", 26 კომ. სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 4", კომინტერნი — „საბრძოლო კინოკრებული № 4". მეცნიერება და ცოდნა — „ქაჯანა", ᲓᲘᲚᲘᲡᲘᲗ: ოქტომბერი — „გაზაფხულის ნაკადი", 26 კომ. სახ.— „საბრძოლო კინოკრებული № 4", სპარტაკი—„საბრძოლო კინოკრებული № 4".

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲪᲘᲠᲙᲘ

ახალი გასტროლიორები. ფრანგული ჭიდაობის მატჩები: 2 ნოემბერს — ყარა მუსტაფა — იარკოვი, პლიასულია—ბერნაცკი, ვოლსკი—ბიკოვი. 3 ნოემბერს —ბიკოვი—პლიასულია, ალი რუსტამოვი—სტრიჟაკი (სარევანშო შეხვედრა) ყარა მუსტაფა—შევჩენკო. არბიტრი პ. კ. პეტრენკო.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲮᲝᲞᲔᲠᲐ — 2 ნოემბერს — „ხევისბერი დალაქი", 4 ნოემბერს—„ტოსკა", 5 ნოემბერს — „ქეთო და კოტე", **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ**—2 ნოემბერს — „ღალატი", 4 ნოემბერს—„პროფესორი მამლოკი", 5 ნოემბერს — „კიკვიძე". **ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** —2 ნოემბერს — „ურიელ აკოსტა", 4 ნოემბერს — „მკაცრი ქალიშვილები", 5 ნოემბერს — „ურიელ აკოსტა". **ᲡᲐᲜᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ** — 2 და 4 ნოემბერს — „გაგრძელება იქნება", 6 ნოემბერს — „ბრმა მუსიკოსი". **ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** — 2 ნოემბერს — „სარდალი სუვოროვი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
Ვ. ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲖᲔ 1941-42 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ინსტიტუტში მიიღებიან სსრკ ორივე სქესის მოქალაქენი (ასაკის მიუხედავად), რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი. მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

1) ნახშირის დამუშავება (ქართული და რუსული სექტორი).
2) მადნეულის დამუშავება (ქართული და რუსული სექტ.).
3) გეოლოგია და ხაბადოს ძიება (ქართული სექტ.).
4) ელექტრომანქანები, აპარატები და ელამძრავი (ქართული სექტორი).
5) ელექტროსადგურები, ელმომარაგების სისტემა და ქსელი (ქართული სექტორი),
6) დაზგები, ხელსაწყოები და ლითონთა დამუშავება (ქართული და რუსული სექტორი).
7) არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი).
8) სილიკატების ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორი).
9) სამოქალაქო და საწარმოო მშენებლობა (ქართული სექტორი),
10) ჰიდროტექნიკური მშენებლობა (რუსული სექტორი).

შემომსვლელთა განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) ავტობიოგრაფია, 2) საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (ორგინალი), 3) ჯანმრთელობის მოწმობა, 4) სამუშაო ადგილის ცნობა, 5) სამი შემოწმებული ფოტოსურათი.

განცხადებების მიღება იწარმოებს ინსტიტუტის შენობაში (სამოსწავლო შესახვევი 2/4), სათანადო ფაკულტეტებზე, ა. წ. 8 ნოემბრამდე, ყოველდღე 12-დან 4 საათამდე.

1941 წელს საშუალო სასწავლებელდამთავრებულნი მიიღებიან უგამოცდოდ, ხოლო დანარჩენთათვის იწარმოებს მისაღები გამოცდები 10-დან 17 ნოემბრამდე. ცნობების მიღება შეიძლება სათანადო ფაკულტეტებზე.

საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორი ᲑᲝᲯᲒᲣᲐ.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲡ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ („კომუნისტის" კორ.). თავდაცვის ფონდში შეტანილია: 182.155 მანეთი ნაღდ ფულად, 560.215 მანეთის ობლიგაციები, 536 გრამი ვერცხლი და 2,6 გრამი ოქრო.

სახელმწიფო სესხის ობლიგაციებმა უკანასკნელ გათამაშებათა ტირაჟებში მოიგეს 9.407 მანეთი, რაც მთლიანად გადარიცხულ იქნა თავდაცვის სახალხო ფონდში.

ცხაკაიის რაიონის სამომხმარებლო სისტემის მუშაკებმა და მეპაიებმა, თავდაცვის სახალხო ფონდში 103.545 მანეთი შეიტანეს.

თავდაცვის ფონდში დანაზოგთა შეტანა გრძელდება.

Ს. ᲥᲣᲩᲐᲕᲐ

* * *

№ ნაწილის კლუბთან არსებულმა წითელარმიელთა თვითმოქმედმა წრემ წითელარმიელ გულიევის ხელმძღვანელობით მოაწყო საღამო-კონცერტი და შემოსული თანხა 870 მანეთი გადარიცხა თავდაცვის ფონდში.

Დ. ᲯᲘᲥᲘᲐ

ᲛᲔᲡᲢᲘᲐ („კომუნისტის" სპეც. კორ.) ზემო-სვანეთის მშრომელებმა 30 ოქტომბრისათვის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სახალხო ფონდში შეიტანეს: 16.000 მანეთი ნაღდი ფული, 61.000 მანეთი გადარიცხვით, 257.000 მანეთის ობლიგაციები, 4.500 გრამი ვერცხლი, 12 გრამი ოქრო. გარდა ამისა, საწარმო-დაწესებულების მუშაკთა უმრავლესობას ომის დამთავრებამდე თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად ორი-სამი დღის ხელფასი შეაქვს.

Რ. ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 28. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ—3—62—26; Პ/ᲛᲒ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐ—3—63—03; ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ—3—08—67; Პ/ᲛᲒ. ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐ—3—06—88; ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ—3—81—84; ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ, ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ-ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ—3—80—83; ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ-ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ—3—80—84; ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲡᲘ—3—57—61; ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ—3—73—24; Პ/ᲛᲒ. ᲛᲝᲠᲘᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲘᲡ—3—81—65; ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ 3—51—81; ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ—3—77—70. ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41429